დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:

1. ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. მარიამ ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულების სახელწოდება	სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 246755738

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა
იურიდიული მისამართი	დაბა ქედა, წერეთლის ქ #4
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ქედა, წერეთლის ქ #4, ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი გულები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფოსტო ინდექსი	6100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sofkeda@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 59 56 03

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება N 710457, 19/06/2023, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 04 და 05 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	დაბა ქედა, წერეთლის ქ #4; დაბა ქედა, სოფელი გულები
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	დაბა ქედა, წერეთლის ქ #4;
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	დაბა ქედა, წერეთლის ქ #4;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 19 ივნისის MES 4 23 0000710457 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს {თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი. წევრები: ია ღლონტი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); მანანა სეხნიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,); ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); მარიამ ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)} დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - სსიპ-ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში (ს/კ:246755738)) (შემდგომში - დაწესებულება).
ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04-05 ივლისს. ბრძანების შესაბამისად განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა წერეთლის ქ #4 და სოფელი გულებში. ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (zoom) გამოყენებით.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, ორჯერ განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიძე

დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან. დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნის ექსპერტები დისტანციურად გაესაუბრნენ, თავიანთი საგნის ფარგლებში, კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 600	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N.1.2.1.3.	**სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2023 წლის ოქტომბრის ბოლო), შეინუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი N.1.2.1.4.	**სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში (2023 წლის ოქტომბრის ბოლო), შეინუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ინდიკატორის მოთხოვნები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი N.3.1.2.3	**პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**	სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ცნობების წარმოდგენა, რითაც დადასტურდება, რომ სკოლის თანამშრომლები არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.
ინდიკატორი N.3.3.1.1.	**სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**	სკოლამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე.
ინდიკატორი N 3.3.2.1	**სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**	სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე.
ინდიკატორი N.3.4.1.1	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის**	• სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო); • სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო); • სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში გამწოვის მონტაჟი და ანტისეპტიკური ზედაპირის მქონე მაგიდის განთავსება ცდების ჩასატარებლად, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო); • სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სტანდარტებთან შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაცრახიძე

		უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო).
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	**რჩევა**
ინდიკატორი N 1.1.1.1.	**სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**	რამდენადაც წარმოდგენილი მისია ზოგადია და ის წარმატებით შეიძლება მოერგოს ყველა ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებას, **სკოლას მიეცა რჩევა:** მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ **მისია ასახავს** ორგანიზაციის ფუნდამენტური/ძირითადი დანიშნულებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		მისი საშუალებით ხდება ორგანიზაციის იდენტობის ფორმირება. რამდენადაც სკოლის ხედვაში პრიორიტეტი მინიჭებული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებას, სასურველია მისიაშიც აისახოს ეს მიმართულება, ხოლო ხედვა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან. ის ასევე წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის. შესაბამისად, ხედვა უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	მართალია საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები მკაფიოდაა გამიჯნული და წარმოდგენილი ხელშეკრულებებში, სკოლას **მიეცა რჩევა** ცალკე დოკუმენტად გაწეროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობები.
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური	მართალია სოფელ გულების დაწყებითი სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია, თუმცა მეტი უსაფრთხოების მიზნით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაცრახიძე

	უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**სკოლას მიეცა რჩევა** -მოაწყოს სკოლამდე მისასვლელი ბილიკი ბორდიულით (ცენტრალური გზიდან 5-7მ), ასევე ცენტრალურ გზაზე გადასასვლელის მოსაწყობად მიმართოს შესაბამის ორგანოებს.
ინდიკატორი N.3.4.1.4.	**სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.**	**რჩევა** - სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე გამოყოფილმა პირმა ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ასახოს შესაბამის ჟურნალში.
ინდიკატორი N.3.6.3.5.	**ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო**	სკოლას მიეცა რჩევა: სრულყოფილად განათავსოს პორტალზე https://skolebi.emis.ge/-ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N.4.1.2.1.	**სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**	სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა** ცალკე დოკუმენტად გაწეროს შესაბამისი წესები და გაასაჯაროოს სასკოლო საზოგადოებისთვის.
ინდიკატორი N.4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**სკოლას მიეცა რჩევა** - შეიმუშავოს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელშიც ასახავს, თუ როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას და რომელ ინტრუმენტებს გამოიყენებს ამისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**რჩევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაო ვადების გათვალისწინებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირები, საჭირო ადამიანური რესურსი და ასევე პროცესების შეფერხების რისკი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისობის გეგმა და მივიდა დასკვნამდე, რომ სკოლას აქვს მზაობა აღმოფხვრას მითითებული ხარვეზები.

შედეგი:

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის ფარგლებში, რიგ ინდიკატორებთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება“.

ეს ინდიკატორებია:

1.2 კომპონენტის ინდიკატორი 1.2.1.1. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ივლისი, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N01-03/26[1] სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და ასევე დირექტორის ბრძანება N01-03/28 სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობითი სია, სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლები: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საქმისმწარმოებელი; ყველა კათედრის გამგეები; სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; მოსწავლეთა თვითმმართველობის ორივე საფეხურის წარმომადგენელი, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი 1.2.1.2. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის სექტემბერი, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის N13 სხდომაზე დამტკიცებული 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, **როგორც შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.1.3. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ოქტომბრის ბოლო, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, სამეურვეო საბჭო და პედაგოიური საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით და ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.1.4. **შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც** სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. როგორც უკვე აღინიშნა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ოქტომბერი, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის განსაზღვრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით და ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

1.2 კომპონენტის ინდიკატორი N 1.2.2.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და ვერ დადგინდა მონიტრინგისა და და შეფასების მექანიზმების არსებობა. სკოლის მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მეთოდოლოგიით დასტურდება, რომ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია და სკოლა გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტრინგსა და და შეფასებას. ამგვარად ინდიკატორი შეფასდა **როგორც შესაბამისი.**

3.1. კომპონენტის ინდიკატორი N 3.1.2.3. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** გამომდინარე იქიდან, რომ რადგან სკოლის პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად ცნობები ნასამართლობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, ცნობების წარმოდგენის ბოლობ ვადად განსაზღვრულია 2023 წლის ოქტომბრის ბოლო. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ცნობების წარმოდგენა, რითაც დადასტურდება, რომ სკოლის თანამშრომლები არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3. კომპონენტის ინდიკატორი N 3.3.1.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შიდა სასკოლო მექანიზმები განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. არც სხვა დოკუმენტებში იკვეთებოდა სკოლის მიერ პრობლემების იდენტიფიცირების მეთოდოლოგია, მაგრამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება დაგეგმა 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე, პასუხისმგებელი პირებად განსაზღვრა დირექტორი და ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.3. კომპონენტის ინდიკატორი N 3.3.2.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას, ვიზიტის პერიოდში, არ ჰქონდა შემუშავებული - სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, მაგრამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება დაგეგმა 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე, პასუხისმგებელი პირებად განსაზღვრა დირექტორი და საქმისმწარმოებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი **შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.4. კომპონენტის ინდიკატორი N 3.4.1.1. **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც, სკოლას არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე არ ჰქონდა უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სკოლის ქიმიის კაბინეტში არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ **სტანდარტებთან** შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, შესაბამისი დასკვნების მოპოვების ბოლო ვადად განისაზღვრა 2024 წლის ივნისის ბოლო, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი; დირექტრის მოადგილე; ბუღალტერი; მტუკი; საბუნებისმეტყველო კათედრის წარმომადგენლები, სხვა ჩართულ მხარეებად (გარდა დაწესებულებისა) განისაზღვრნენ: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა შესაბამისი უწყების რეაგირების დაგვიანება 10%.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა, **როგორც მეტწილად შესაბამისი.**

3.6. კომპონენტის ინდიკატორები: N 3.6.3.1; N 3.6.3.4; N 3.6.3.5 **შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება,** რამდენადაც სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის შესახებ ინფორმაციები და დადასტურდა, რომ სკოლას სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე, **რომელზეც ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე და მასზე სკოლამ უკვე განათავსა რიგი დოკუმენტებისა.** შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა **და შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია დაბა ქედის საჯარო სკოლის მისია და ხედვა, რომლებიც გადამუშავების პროცესშია. სკოლის მისიაა - „ყველა ახალგაზრდისათვის შექმნას ხელმისაწვდომი წარმატებული, უსაფრთხო, მამოტივირებელი გარემო. დანერგოს სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტები, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ინტერესებისა და ღირებულებების, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური მიღწევების, დამოუკიდებლად ცხოვრების, შრომითი საქმიანობისათვის შემოქმედებითი, საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზების, კომუნიკაციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის უნარ-ჩვევების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას“.

აღნიშნული მისია გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზებიდან და ასახავს მას.

სკოლის ხედვაა: - „გამოვკვეთ სკოლის ნიშას საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარების გზით და ჩამოვაყალიბებთ მწვანე სკოლას, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოსდამცველი, ინტელექტუალური მოქალაქის აღზრდას. საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად მოსწავლეებს შევთავაზებთ საბუნებისმეტყველო საგნებს, ავამუშავებთ კლუბებს და წრეებს. შენობას აღვჭურვავთ ინფრასტრუქტურით, მოვახდენთ სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკანა ეზოს გამწვანებას. 2023 წლის 07 სექტემბრამდე შევიმუშავებთ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. შესაბამისად, 2030 წლისათვის მოსწავლეთა 60% წარმატებული იქნება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, მასწავლებლები გადამზადდებიან, მოსწავლეები აჩვენებენ მაღალ შედეგებს ოლიმპიადებსა და კონკურსებში. ამასთან. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები სკოლის ტერიტორიაზე დარგავენ ერთ ძირ ხეს“ .**ღირებულებებია:** ინოვაციების დაგეგმა, გარემოზე ზრუნვა, თანამშრომლობა და გუნდურობა.

თვითშეფასების დოკუმენტის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ მისიისა და ხედვის გადასამუშავებლად, დირექტორის ბრძანებით (21.06.2023. N01-03/18) შეიქმნა ჯგუფი მასწავლებლების, მოსწავლეების და სამივე საფეხურის მშობლების შემადგენლობით. ჯგუფმა შეიმუშავა შესაბამისი კითხვარები, რომლის მეშვეობითაც ჩატარდება კვლევა.

პრობლემების გასაანალიზებლად გამოყენებული იქნება ინსტრუმენტი „პრობლემების ხე“ მიღებული შედეგების საფუძველზე ჯგუფი შეიმუშავებს სკოლის ახალ მისიასა და ხედვას, რომელიც გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისათვის და მათი უკუკავშირის საფუძველზე შემუშავებული იქნება საბოლოო ვერსიები, რომლებიც შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს.

რამდენადაც წარმოდგენილი მისია ზოგადია და ის წარმატებით შეიძლება მოერგოს ყველა ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებას, სკოლას მიეცა რჩევა: მისიის და ხედვის შემუშავების დროს გაითვალისწინოს, რომ მისია ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტური/ძირითადი დანიშნულებას და მისი საშუალებით ხდება ორგანიზაციის იდენტობის ფორმირება. რამდენადაც სკოლის ხედვაში პრიორიტეტი მინიჭებული აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებას, სასურველია მისიაშიც აისახოს ეს მიმართულება, ხოლო ხედვა აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს მისიიდან. ის ასევე წარმოადგენს შუა რგოლს მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის. შესაბამისად, ხედვა უნდა წარმოადგენდეს სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითად ორიენტირს, ის არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას დაწყებული აქვს კვლევის პროცესი და გააზრებული აქვს საკუთრი სასკოლო საზოგადოების, სასკოლო თემის და ზოგადად საზოგადოების ჩართვის მნიშვნელობა სკოლის ცხოვრებაში, მათი პრიორიტეტების, ღირებულებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

შემუშავებული კითხვარებით, რომლებიც განთავსებულია დახურულ facebook ჯგუფებში, მიმდინარეობს მოსწავლეთა ინტერესების, დამოკიდებულებების, სასკოლო თემის ინტერესების დადგენა, რაც გათვალისწინებული იქნება სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავების დროს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

დირექციასთან გასაუბრებით, დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით გადამუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ პედსაბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა გეგმავს, რომ განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს, რისთვისაც გამოაკრავს მას სკოლაში, თვალსაჩინო ადგილას, განათავსებს სკოლის ფეისბუკ გვერდზე და წარადგენს მშობელთა და კლასის კრებებზე (2023- 2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასაწყისი). **აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა სა სორტის მინისტრის ბრძანების 2019 წლის 9 აგვისტოს N 167/ნ ბრძანებით, ცვლილება შევიდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში და სკოლა მიენიჭა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული მასშტაბით აღიარებული საერო პირის ვახტანგ პაპუნიძის სახელი. შესაბამისად სკოლის სახელწოდება ნაცვლად სსიპ - დაბა ქედის საჯარო სკოლისა განისაზღვრა, როგორც სსიპ-ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილება არ ასახულა საჯარო რეესტრში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში მიმართა შესაბამის ორგანოს, არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. **აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება (21.06.2023. N01-03/18) სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავსსასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავსსასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

რადგან ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ივლისი, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N01-03/26[1] სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და ასევე დირექტორის ბრძანება N01-03/28 სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია და სამუშაო ჯგუფის შემადგენლობითი სია, სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის წარმომადგენლები: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; საქმისმწარმოებელი; ყველა კათედრის გამგეები; სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; მოსწავლეთა თვითმმართველობის ორივე საფეხურის წარმომადგენელი, დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ისშეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა და შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის სექტემბერი, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის N13 სხდომაზე დამტკიცებული 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

გეგმით განსაზღვრულია 7 მიზანი: . 1. სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; 2. კვალიფიციური კადრები; 3. არაფორმალური განათლების გაძლიერება; 4. ციფრული ტრანსფორმაცია; 5. ინოვაციურობა; 6. განათლების ინკლუზია; 7. მონიტორინგი და შეფასება. **აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნები და შესაბამისი ამოცანები სრულყოფილად არის წარმოდგენილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა სამოქმედო ერთწლიანი გეგმა და შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ოქტომბრის ბოლო, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, სამეურვეო საბჭო და პედაგოიური საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით და ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

როგორც უკვე აღინიშნა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრა 2023 წლის ოქტომბერი, ხოლო პასუხიმგებელ პირებად ბრძანებით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის განსაზღვრულ ვადაში შესრულებასთან დაკავშირებით და ინდიკატორი შეფასდა, როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- შემუშავებული კითხვარები;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- დირექტორის ბრძანება N01-03/26[1] სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება N01-03/28 სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის N13 სხდომაზე დამტკიცებული 2023-2030 ს/წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ვიზიტის პერიოდში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **შესაბამისად ინდიკატორის შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

არსებული მდგომარეობის შესწავლით და წარმოდგენილი დირექტორის ანგარიშებით დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებზე სამეურვეო საბჭო ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორისგან იბარებს ანგარიშს, ხოლო დირექტორი თავის მხრივ პედსაბჭოს წარუდგენს, რაც მასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა მომავალშიც გაასაჯაროოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

რამდენადაც სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;
- შემუშავებული კითხვარები;
- 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დირექტორის ბრძანება N01-03/28 სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მოქმედ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რეგულირდება ხელშეკრულებით, საშტატო განრიგის შესაბამისად. დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე (აღნიშნულ ეტაპისთვის დირექტორის ფუნქციას ასრულებს დირექტორის მოვალების შემსრულებელი, რომელსაც არ ჰყავს მოადგილე). ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექთანი, სსსმ პირის ასისტენტი, დარაჯი, მუშა და დამლაგებელი. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში შედის ასევ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტის -ფსიქოლოგის შტატი, რომელიც ვაკანტურია. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომლის საშტატო ნუსხაა: 1. სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებელი, სპეციალური განათლების ცენტრის კოორდინატორი; 2.სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებელი-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი; 3. სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებელი-სახვითი ხელოვნების სპეციალისტი; 4. სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებელის ასისტენტი. 5.სპეციალური განათლების ცენტრის ფინანსისტი. 6.სპეციალური განათლების ცენტრის დამლაგებელი. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაცდეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები მკაფიოდაა გამიჯნული და წარმოდგენილი მხოლოდ ხელშეკრულებებში. არ ხდება ფუნქციათა აღრევა, ან გადაკვეთა, რაც თავისთავად ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საქმიანობის განხორციელებას. სკოლას **მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტად გაწეროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საშტატო განრიგი;
- გაფორმებული საკადრო ხელშეკრულებები.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- მოსწავლეთა თვითმართველობის ოქმი
- დისციპლუნური კომიტეტის არჩევის სხდომის ოქმი
- კათედრის სხდომის ოქმი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებებით და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით განსაზღრულია სამუშაო და დასვნების დრო, უქმე დღეები, შვებულებით სარგებლობის პირობები. დისციპლინური გადაცდომები და შესაბამისი სანქციები. რეგულაციები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, მასწავლებელთა ხარისხის განვითარების ჯგუფს, მოსწავლეთა თვითმართველობას) სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლების წესდებით, სადაც გაწერილია საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების სამუშაო აღწერილობები, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლას არ აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, მაგრამ სხვადასხვა ქმედებით ხელს უწყობს პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიების გატარებას. შემუშავებული აქვს მასწავლებლის შესარჩევი და კონკურსის ჩატარების წესი, რათა კადრის შერჩევის დროს იხელმძღვანელოს სკოლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. შინაგანაწესის მიხედვით შემუშავებული აქვს დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი, რაც დასტურდება კათედრის თავმჯდომარის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, მიღწეული წარმატების მიხედვით გატარებული ღონისძიებებით (მასწავლებელზე გაცემული ფულადი პრემია). სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კუთხით წარმოდგენილი აქვს ასევე პერსონალის დანიშვნის ბრძანება, რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით. **სკოლას დასკვნის პროექტის ფარგლებში მიეცა რჩევა** საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნასთან დაკავშირებით. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 25 სექტემბრის N13 სხდომაზე დამტკიცებული სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს **საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის მექანიზმებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;**

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, წინასწარ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. რადგან სკოლის პერსონალის პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი სრულყოფილად ცნობები ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ, დასკვნის პროექტის ფარგლებში **ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა, როგორც არ შეესაბამება, მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, ცნობების წარმოდგენის ბოლობ ვადად განსაზღვრულია ოქტომბრის ბოლო. შესაბამისად სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს ცნობების წარმოდგენა, რითაც**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურდება, რომ სკოლის თანამშრომლები არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა პერსონალის პირად საქმეებთან. სკოლაში დასაქმებული პედაგოგებიდან 29-უფროსია, 11-წამყვანი, 1- მოწვეული და 1 -პრაქტიკოსი მასწავლებელი. სკოლაში ინახება თითოეული მასწავლებლის და ტექ.პერსონალის პირადი საქმე, რომელშიც წარმოდგენილია საკადრო აღრიცხვის ფურცელი, პირადობის ასლი, სტატუსის დამადასტურებელი თუ სხვა სერთიფიკატები, ცნობები სხვადასხვა ტრენინგ-კურსის გავლის შესახებ, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების და პედაგოგების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობა იკვეთება მაგალითად კათედრების მუშაობაში და სკოლის ინფრასტრუქტულ მოწყობაში (თითოეულ კათედრას აქვს კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით, პრინტერით და პროექტორით), მაგრამ სკოლას არ აქვს სამასწავლებლო.გაერთიანებული სხდომებისთვის სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითმართველობის ოთახს. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ იგეგმება გარკვეული ინფრასტრუქტურული ცვლილების განხორციელება სამასწავლებლოსა და დამატებით საკლასო ოთახებისმოწყობის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. წარმოდგენილი ოქმები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმავლესობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები - პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კონკურსის გამოცხადების ბრძანება;
- მასწავლებლის შესარჩევი და აყვანის წესი;
- კათედრის თავმჯდომარის სამსახურეობრივი ბარათი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის ბრძანება ფულადი პრემიის გაცემის შესახებ;
- პერსონალის პირადი საქმე;
- სასკოლო გეგმის პროექტი;
- მასწავლებლის შერჩევის მიზნით ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის 2 ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდება უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხორციელდება ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, რაც ასახულია კათედრების სამუშაო გეგმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფი, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით USAID-ის პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია დაწყებითი კლასების 5 მასწავლებელი, რომლებიც აქტიურად უზიარებენ გამოცდილებას თავიანთ კოლეგებს.2023 წლის მარტის თვეში ინგლისური ენის მასწავლებლის ინიციატივით სკოლა დარეგისტრირდა eTwinning–ის პორტალზე, მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში და მოსწავლეებთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს აქტივობები. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ სკოლა მხარს უჭერს პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში, მაგრამ არა ფინანსურად, ვინაიდან დოკუმენტებში არ დასტურდება პერსონალის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაცრახიძე

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ყველა საჭირო პირობაა შექმნილი, რათა მოხდეს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაცია. კაბინეტები კეთილმოწყობილია და აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ახალი თანამშრომლისთვის მხარდაჭერის მზაობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის პედაგოგებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში წახალისებულია მათი ინიციატივები, რაც საქმინობისათვის ნდობას და პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის. სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, დელეგირებულია თანამშრომელთა უფლება/მოვალეობები, შინაგანაწესში გაწერილია თანამშრომელთა წახალისების წესი, რაც ხელს უწყობს საქმიანობის ეფექტურ წარმართვას. სკოლის თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და პატივს სცემენ კოლეგების აზრს. თითოეულისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდა და განვითარება.ისინი ხსირად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ და ეხმარებიან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გაკვეთილებზე დასწრების უკუკავშირი;
- კათედრის ოქმი;
- სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის მიერ შექმნილი კითხვარი;
- გაკვეთილის გეგმა;
- კომპლექსური დავალება;
- პედაგოგთა სერთიფიკატები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული ცნობები სხვადასხვა ტრენინგ-კურსის გავლის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

სკოლაში კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესების გზების ძიება, დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან ერთად იგეგმება მექანიზმების შემუშავება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომლითაც დარეგულირდება შიდა და გარე შეფასების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესების პროცესები. რამდენადაც სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა შემუშავებული საქმიანობის მართვის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორი დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა, როგორც არ შეესაბამება, მაგრამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება დაგეგმა 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე, პასუხისმგებელი პირებად განსაზღვრა დირექტორი და ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მასში გაწერილია ასევე დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში. ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და ფუნქციურად აღწერილია სხვა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობებში. შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების შესაბამისი აქტივობები: მოსწავლეთა სკოლაში დასწრების მონიტორინგის სისტემის შექმნა. 2.მშობლებისა და სტუმრების სკოლაში გამოცხადების ორგანიზება და ა.შ. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლის სამეურვეო საბჭოს 5 სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს: სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება(განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო ორგანიზაციული და დისციპლინარული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. თითოეული სტრატეგიული მიზანი და ყველა ერთად ხელს უწყობს იდენტიფიცირებული და აღწერილი იქნას სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი და პროცედურები, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. შექმნილია დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც განისაზღვრება მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის თანაბარი რაოდენობით. ნიშნის ამაღლების სურვილის შემთხვევაში მშობელს შეუძლია მიმართოს დირექციას სემესტრული გამოცდის მოთხოვნით, პროცედურები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი შინაგანაწესში, მასწავლებელთა შრომით და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებში. აღსანიშნავია ,რომ სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია სკოლის შინაგანაწესთან, რომელიც ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინარული კომიტეტის შექმნის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

- მშობელთა ხელშეკრულებები;
- პერსონალის ხელშეკრულებები;
- საზოგადოებრივი კათედრის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სერტიფიკატები;
- მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული ცნობა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- საქმისწარმოების წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლის სხვადასხვა დოკუმენტში იკითხება მართვის პროცესებთან დაკავშირებული მექნიზმები. მაგ.: სკოლის შინაგანაწესში; დამრიგებლის წლიურ პროგრამაში; მშობელთა კრების ოქმში და სხვა. სკოლის ფეისბუკგვერდზე გასაჯაროებულია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, ამიტომ სხვდასხვა მარეგულირებელი დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ სკოლის საინფორმაციო დაფაზე მატერიალურად. 2023-2024 სასწავლო წლისთვის დასაწყისში სკოლა გეგმავს დაინტერესებული პირთათვის მოაწყოს ღია კარის დღე. რამდენადაც სკოლას, ვიზიტის პერიოდში, არ ჰქონდა შემუშავებული - სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, **ინდიკატორი, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება, მაგრამ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება დაგეგმა 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე, პასუხისმგებელი პირებად განსაზღვრა დირექტორი და საქმისმწარმოებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2023 წლის ნოემბრის ბოლომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით. სასკოლო ცხოვრებისა და მართვის პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, რაც დასტურდება წარმოდგენილ ოქმებში. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მეტი ჩართულობისათვის დანერგოს აქტივობა ,,მშობელი გაკვეთილზე“. მოსწავლეთა თვითმართველობის ჩართულობით შექმნილია სხვადასხვა სასკოლო კლუბები:1 ნორჩ მკითხველთა კლუბი; 2.ეკო-კლუბი; 3. ინგლისური ენის კლუბი; 4. სამოქალაქო განათლების კლუბი.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიში
- მშობელთა კრების ოქმი
- სამეურვეო საბჭოს და დისციპლინარული საბჭოს ოქმები.
- სკოლის საინფორმაციო დაფა
- სკოლის ფეისბუქ გვერდი
- საზოგადოებრივი კათედრის ოქმი
- კლუბის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური და მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლას ჰყავს 2 მანდატური და დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს დარაჯი.

პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა არსებული ნორმატიული აქტი და შესაბამისი ორგანოების რეკომენდაციები. სამედიცინო კაბინეტი ძირითად კორპუსში უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით რომელიც ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები, შირმა, რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სამედიცინო კაბინეტში დაცულია პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, რადგან სამედიცინო ტახტი შირმით არის გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისგან.

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი (გამოცხადებულია კონკურსი ვაკანსიაზე) თუმცა არის ექთანი, რომელიც აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სოფელ გულების დაწყებითი კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კორპუსისმიშენებაში განთავსებულია სოფლის ამბულატორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სოფლის ამბულატორიას ემსახურება ადგილობრივი კადრი-ექთანი.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა ამ ეტაპზე არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა წერილი N827514 (05/07/2023), რომელიც გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროსსახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. სკოლას ჰყავს აჭარის განათლების ფონდის ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ გადამზადებული კადრები „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების“ მიმართულებით. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ძირითად კორპუსში შენობის სართულებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ოთხივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები (15 ცალი). სოფელ გულების დაწყებით სკოლაში განთავსებულია საევუაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრი. ძირითად კორპუსს უკანა მხარეს აქვს სათადარიგო რკინის კიბე, შენობაში დამონტაჟებულია სიგნალიზაციის სისტემა, შენობის ნაწილში დამონტაჟებულია ჰაერის დეტექტორები. ძირითადი კორპუსიის ტერიტორია მთლიანად შემოსაზღვრულია, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, მაგრამ სოფელ გულების დაწყებითი სკოლის ტერიტორიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა- სკოლის ტერიტორია, უსაფრთხოების მიზნით, სრულად შემოისაზღვროს და ასევე მნიშვნელოვანია მოეწყოს სკოლამდე მისასვლელი ბილიკი ბორდიულით (ცენტრალური გზიდან 5-7მ), ასევე ცენტრალურ გზაზე გადასასვლელის მოსაწყობად მიემართოს შესაბამის ორგანოებს.

მართალია, სკოლამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები და მიმდინარე წელს წერილით მიმართა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“დირექტორს სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად და ასევე წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს (წერილი - eFlowN721267 20.06.2023წ.) შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით, მაგრამ შესაბმისი დასკვნები ვერ წარმოადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ქიმიის კაბინეტში არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა და არ არის ანტისეპტიკური ზედაპირის მქონე მაგიდა ცდების ჩასატარებლად., რაც ასევე უსაფრთხოების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, შესაბამისი დასკვნების მოპოვების ბოლო ვადად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრა 2024 წლის ივნისის ბოლო, პასუხისმგებელ პირებად დირექტორი; დირექტრის მოადგილე; ბუღალტერი; მტუკი; საბუნებისმეტყველო კათედრის წარმომადგენლები, სხვა ჩართულ მხარეებად (გარდა დაწესებულებისა) განისაზღვრნენ: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკად და ამ რისკის დადგომის ალბათობად განისაზღვრა შესაბამისი უწყების რეაგირების დაგვიანება 10%.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გაითვალისწინა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისობის რეკომენდაციები:

- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის (მეტწილი შესაბამისობა) უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო);
- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო);
- სკოლამ უზრუნველყოს ქიმიის კაბინეტში გამწოვის მონტაჟი და ანტისეპტიკური ზედაპირის მქონე მაგიდის განთავსება ცდების ჩასატარებლად, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო);
- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივნისის ბოლო).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანების -„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-მოთხოვნებს. ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო (ბრძანება N01-03/10 10.03.2023წ.),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის და სკოლის თანამშრომლების საშუალებით. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი; მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლისუფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლას, სასწავლო წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და სასკოლო პროექტი:
,,ჯანსაღი ცხოვრების წესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს 3 სპეც. მასწავლებელი (2-უფროსი სტატუსის მქონე 1-კი პრაქტიკოსი). ხელშეკრულებაში გაწერილია მისი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ეზოში მოწყობილი ასფალტის საფარიანი სპორტული მოედანი, თუმცა სკოლის ტერიტორიაზე აშენებულია დიდი სპორტული დარბაზი, რომლის შიდა სამუშაოებიც, ვიზიტის პერიოდში, დასასრულს უახლოვდებოდა. დერეფნები ხელს უწყობს შესვენებაზე მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესს. რესურსოთახში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, ქმნის შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა, რასაც დამატებით ხელს უწყობს სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლასთან არსებული დღის ცენტრი, რომელსაც გაწერილი აქვს ტრანზიციის გეგმა შესაბამისი აქტიობებით და მასზე პასუხისმგებელი პირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 7 დამლაგებელი და სოციალური დასაქმების პროექტის ფარგლებში დამატებით დასაქმებულია 3 დამლაგებელი და 2 მეეზოვე, რომელებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა დაგარე ფართის მოწესრიგებას. სასწავლო ინვენტარის (მერხები, მაგიდები, თაროები, კომპიუტერები და სხვა) გაწმენდას საწმენდი საშუალებებით. კარადების, სათავსოების, უჯრების მოწესრიგებას და ყოველდღიურად სველი წესით დამუშავებას. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სანიტარული კვანძების (ტუალეტი, ნიჟარები, უნიტაზები) სისუფთავეზე. დამლაგებლების მუშაობას ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს სკოლის ექთანი, თუმცა არ ხორციელდება მონიტორინგის შედეგების აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების კალათი. ძირითად კორპუსში ინფრასტრუქტურის მხრივ რამდენიმე კაბინა საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს და 2 ცალი წყლის გამანაწილებელი ავზი საჭიროებს შეცვლას. ექთანს მიეცა რჩევა - სანიტრულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები ასახოს შესაბამის ჟურნალში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, საქმეთამმართველი. მას ხელშეკრულებით ევალება სამსახურეობრივი მოვალეობის შედეგად მიღებული მოსწავლეების და თანამშრომელთა პერსონალური ინფორმაციის დაცვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით N 01-03/28,04.07.2023, დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები. საქმის წარმოება მიმდინარეობს სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საქმეთა ნომენკლატურის მიხედვით. სკოლაში არის არქივი, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის- eFlow-ს მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. სკოლა ახდენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში- Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის საფუძველზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წერილი სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს ,,112“დირექტორს ბატონ გიორგი არსოშვილს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;
- წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს ბატონ მამუკა ჯანგულაშვილს შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან სგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად;
- სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- დირექტორის ბრძანება N01-03/28,04.07.2023, სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- სკოლის ექთანის ხელშეკრულება;
- საქმეთამმართველის ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანება;
- მობილობის განხორციელების ბრძანება;
- საფეხურის დაძლევის ბრძანება;
- სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა;
- სკოლასთან არსებული დღის ცენტრი;
- სადმრიგებლო პროგრამები;
- სასკოლო პროექტი: ,,ცხოვრების ჯანსაღი წესი“.
- პედაგოგთა სერთიფიკატებ ,,ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“(ინკლუზიური განათლების კონტექსტის გათვალისწინებით).

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა მოსარგებლეა 5 სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ს/კ 21.03.34.287 არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 5509.00კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა -ნაგებობებით 01/4-3587.94კვ.მ. შენობა 02/1 20.52კვ.მ. შენობა03/1 6.56კვ.მ. შენობა 04/01 28.28კვ.მ.
2. ს/კ 21.03.33.061 არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 154.00კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა -ნაგებობების ფართით 87.58კვ.მ.
3. ს/კ 21.03.32.031 არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 93.00კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა -ნაგებობების ფართით 51.92 კვ.მ.
4. ს/კ 21.03.33.067 არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 357.00კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების ფართით 47.50კვ.მ.
5. ს/კ 21.03.34.065 არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 903.00კვ.მ. მასზე განლაგებული შენობა -ნაგებობების ფართით 48.00 კვ.მ.

სკოლა ჯამში მოსარგებლეა 7016.00 კვ.მ. არა სასოფლო სმეურნეო დანიშნულების მიწის ფართის და 3878.30 კვ.მ შენობა ნაგებობის. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის სიით შემადგენლობაში ირიცხება 430 მოსწავლე და 38 დარეგისტრირებული მომავალი პირველ კლასელი. სკოლა ავტორიზაციას ითხოვს 600 მოსწავლეზე.

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის შენობა არის 4 სართულიანი, პირველ სართულზე განთავსებულია ინკლუზიური განათლების ცენტრი, მანდატურის ოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი, 5 საკლასო ოთახი და 2 სველი წერტილი, მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, ბუღალტრის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, რომელიც აღჭურვილიასამი კომპიუტერით, პრინტერით და ჭკვიანი დაფით. კომპიუტერული ოთახი და ბიოლოგიის ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, 4 საკლასო ოთახი და 3 სველი წერტილი.

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს კომპიუტერული ოთახი, სადაც განთავსებულია 11 პერსონალური კომპიუტერი, 14 ნოუთბუქი და 1 პროექტორი. სულ სკოლაში წარმოდგენილია 11 პროექტორი, 3 ჭკვიანი დაფა და 8 პრინტერი. ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ ქსელით. სკოლას აქვს 2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

სპორტული დარბაზი, რომლებიც განთავსებულია სკოლის პირველ და მესამე სართულზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლის ტერიტორიაზე შენდება ახალი სტანდარტული სპორტული დარბაზი, რომელიც დამთავრების პროცესშია. მესამე სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი და ორი გასახდელი. მეოთხე სართულზე - 8 საკლასო ოთახი. სკოლის ეზოში განთავსებულია (180 კვ.მ) სპორტული მოედანი და საქვაბე, რომელებიც საჭიროებენ კეთილმოწყობას. სკოლას აქვს ბიოლოგიის ლაბორატორია, ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და სხვა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წიგნების დამუშავება საბიბლიოთეკო წესით. სკოლა ყოველკვირეულად ახორციელებს გაზეთ „ახალი განათლების'' შესყიდვას, რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. 3 კეთილმოწყობილი რესურსოთახი, მათ შორის 1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით, 1 თექაზე სამუშაო მოწყობილობებით და საჭირო რესურსით. სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან - ბლექსი, რომლის მემორანდუმის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს შეასწავლის ჭრა- კერვას. პროფესიული სასწავლებელი თავად უზრუნველყოფს კაბინეტის აღჭურვას საკერავი მანქანებით (14 საკერავი მანქანა) და ხელსაქმისთვის საჭირო ინვენტარით (ძაფები, ღილები, ქსოვილები, მანქმანები და ა.შ.). სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ფიზიკის და ქიმიის კლას-კაბინეტები თავისი სათავსოებით.

სოფელ გულების დაწყებითი კლასების შენობა 2 სართულიანია. სასწავლო პროცესითვის გამოყენებულია მეორე სართული, პირველ სართულზე კი განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობა. მეორე სართულზე განთავსებულია 2 საკლასო ოთახი და ერთი სამასწავლებლო. საპირფარეშო განთავსებულია სკოლის ეზოში, რომელიც კეთილმოწყობილია და აკმაყოფილებს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი (არის Wi-Fi), სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას აქვს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

შემოსასვლელში განთავსებულია პანდუსი, რაც შშმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას მხოლოდ პირველ სართულზე, ამიტომ სკოლა წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძირითად კორპუსზე ლიფტის მიშენების მოთხოვნის შესახებ (წერილი eFlow N 819564 04/072023წ). პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის რესურსოთახი, რომელიც მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

ინფრასტრუქტურა საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სპორტულ დარბაზში რეგულარულად ტარდება სპორტული ღონისძიებები, ლაბორატორიებში წარიმართება საგაკვეთილო პროცესი. სკოლას შემუშავებული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სარგებლობის წესი, კომპიუტრული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი და შემუშავებულია სკოლის გაციფრულების გეგმა. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი და ადაპტირებული რესურსოთახი. სკოლის ეზოში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დარბაზის მშენებლობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს სკოლის ორი სხვდასხვა შესავლელით შეუძლია დაუბრკოლებლად გაადგილება. პირველ სართულზე განლაგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული სამი რესურსოთახი. ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი ხორციელდება უნივერსალური დიზაინით, სპეციალური მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებს, ახდენდნენ საგანთა შორის ინტეგრაციას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, იძიებენ და ქმნიან რესურსებს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

სოციო–კულტურული თვალსაზრისით, სკოლაში შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, დერეფნები, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).**

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. საგნობრივ კათედრებზე პედაგოგები მოიძიებენ და ქმნიან საინტერესო და მიზნობრივ სასწავლო რესურებს, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში და ერთმანეთსაც უზიარებენ. რესურსები არის როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი გამოყენების ელექტრონული თუ სხვა სახის. ეს რესურსები ამრავალფეროვნებენ სასწავლო პროცესს, მიმზიდველს ხდიან მოსწავლეებისათვის და აიოლებენ მასალის აღქმასა და მიზნის მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. სკოლა აღჭურვილია STEM საგნების გაკვეთილებისთვის საჭირო ინვენტარით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ინვენტარიზაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინდ.გეგმები;
- წერილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძირითად კორპუსზე ლიფტის მიშენების მოთხოვნის შესახებ(წერილი eFlow N 819564 04/072023 წ;
- მიღება- ჩაბარების აქტი;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი;
- სკოლის გაციფრულების გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ტექნიკა შეუფერხებლად მუშაობს. სკოლას ციფრული ტრანსფორმაციის გეგმაში გათვალისწინებული აქვს მისი განახლება. საჭიროებიდან გამომდინარე სკოლაში წამოჭრილი პრობლემას გადაჭრას, ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის აიტი სპეციალისტი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 25 კომპიუტერი; კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მიზნობრივად იმუშაონ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლაში არსებობს საქმისწარმოების წესი. საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც უზრუნველყოფს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები და ოქმები ინომრება სასწავლო წლის მიხედვით,გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილი და დალუქულია **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. დირექტორის განმარტებით, ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით, რაც დასტურდება 2022 წლის 10 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმით (სკოლის დირექტორის წლიური ანგარიშის წარდგენა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- გატარების ჟურნალები;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა;
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის საშუალებად აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელის - Facebook-ის გვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონულ ჟურნალს, Teams-ისა და Zoom-ის პლატფორმას. მშობლების სწრაფი ინფორმირებისათვის - სოციალური ქსელის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დახურულ ჯგუფებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებგვერდი, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული. **მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის შესახებ ინფორმაციები და დადგინდა, რომ სკოლას . სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა სკოლის პორტალზე უფლებამოსილი პირი - ადმინისტრატორი, მაგრამ ამდენადაც სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;**

რამდენადაც სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, ინდიკატორი ვერ შეფასდება.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული, თუმცა ექსპერტთა გადამოწმებით დადასტურდა (იხ.3.6.3.4), რომ სკოლას **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილი აქვს შესაბამისი სივრცე, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია ქართულ ენაზე. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა ვებ გვერდი და მის ნაცვლად ინფორმაციის გავრცელების საშუალებად იყენებდა მხოლოდ სკოლის სოციალური ქსელის გვერდს, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ, თუმცა facebook -ზე არ იყო წარმოდგენილი ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე გამოყოფილ შესაბამისი სივრცეში, სკოლამ უკვე განათავსა (სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები) რიგი დოკუმენტებისა.

შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: სრულყოფილად განათავსოს პორტალზე https://skolebi.emis.ge/-ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფეისბუკ-გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id;
- ელექტრონულ ფოსტა: sofkeda@mes.gov.ge;
- Skolebi.emis.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ საჭირო საგანმათლებლო რესურსების შეძენაზე, რაც დასტურდება სკოლის ბიუჯეტით და შესყიდვების გეგმით. სკოლის თანამშრომელთა და მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით კათედრის თავმჯდომარის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე ხდება კათედრის წევრების წახალისება- დაჯილდოვება. ყოველივე ეს ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. ეს პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით და ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. სამინისტროს დახმარებით სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი არ ფერხდება. სკოლას წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენილი აქვს წლიური ფინანსური ანგარიში. წარმოდგენილი **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური ფინანსური ანგარიში;
- შესყიდვების გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სკოლის ბიუჯეტი;
- კათედრის თავმჯდომარის სამსახურეობრივი ბარათი
- სკოლის დირექტორის ბრძანება პრემიის გაცემის შესახებ.
- სკოლის დირექტორის ბრძანება შეყიდვებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 07 სექტემბრის N01 სხდომაზე. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა მოვალეობები, ასევე მათი წახალისების ფორმები - მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები: მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მუხლი 17. მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები მუხლი 19. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი, მუხლი 24. სკოლაში ჩაცმულობის წესი. შინაგანაწესში მოსწავლეთა უფლებები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, მხოლოდ სხვადასხვა მუხლშია აღწერილია ის საკითხები რომლებიც დასაქმებულის/მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა უფლებების დაცვას ეხება. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - შექმნას ცალკე დოკუმენტი ან შინაგანაწესში ასახოს მოსწავლის უფლებები და მოვალეობები.

სკოლას შემუშავებული აქვს ასევე - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ თანახმად არის შემუშაველი. ამ დოკუმენტის ერთერთი მთავარი მიზანი სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაა. სკოლაში მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მისი წარმომადგენელი. დისციპლინარული კომიტეტი დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის თანაბარი რაოდენობით. სკოლაში არის მანდატურის სამსახური, მუშაობს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარეც. დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე თვითმმართველობის დებულობის თანახმად, დადგინდა, რომ მოსწავლეს შეუძლია, ნებისმიერ დროს, მიმართოს დირექციას საკუთარი აზრის გამოსახატავად სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია დაცულია სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებელთა მხრიდან. მშობელთა კრებების ჩატარების დროს კლასის დამრიგებელი საერთო შეხვედრაზე განიხილავს ზოგად ინფორმაციას. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდ. სასწავლო გეგების შემუშავება ხდება რეგულაციების დაცვით. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და ურთიერთობის წესი, რომლის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას შინაგანაწესი გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესი გამოკრული იყო პირველ სართულზე.

2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მოსწავლეების ჩართულობით განხორციელდება გაკვეთილზე ქცევის წესების შემუშავება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება.

ექსპერტების მიერ გადმოწმდა არსებული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ მათში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, ასევე ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემებთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესის, დავის გადაწყვეტის, მხარეთა რეკვიზიტების და დამატებითი პირობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- მშობლის ინფორმირების და ურთიერთობის წესი;
- დირექტორის ანგარიში;
- თვითმმართველობის ოქმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა ცალკე დოკუმენტად გაწეროს შესაბამისი წესები და გაასაჯაროოს სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის" 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოსწავლეებს ტრანსპორტით ემსახურება), მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ დამრიგებლების მეშვეობით, ისინი ვალდებული არიან გააცნონ მათ ასევე:

- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორის გამოყენების წესი
- სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა;
- მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები;
- სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია;

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის თანახმად შემუშავებულია მეორე უცხოური ენის არჩევის წესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება ხდება მშობელთა კრებაზე. კლასის დამრიგებელი მშობლებს ასარჩევად სთავაზობს მინიმუმ ორ ენას. ყველა მშობლის აზრის გათვალისწინებით ფორმდება შესაბამისი ოქმი, რაზეც ხელს აწერს მეხუთე კლასის მოსწავლეთა ყველა მშობელი. სკოლის ყველა საჭირო ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის პერსონალი და მასწავლებლები, პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას, ხელმძღვანელობენ სკოლის მიერ შემუშავებული, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლის პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ ხორციელდება სატელეფონო კავშირის, ინდივიდუალური შეხვედრების, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კანონმდებლობის დაცვით. მომავალში იგეგმება მსგავსი ინფორმაციის მიწოდება სკოლის ვებგვერდის საშუალებითაც. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის ბრძანება N01-09/30 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ საშუალო საფეხურის დაძლევისა და მათი სკოლიდან ამორიცხვის შესახებ (54 მოსწავლე);
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეების ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებენ სწავლის დაწყების პირველ დღეს, აწყობენ ღონისძიებებს, დამრიგებლები ათვალიერებინებენ სკოლის ინფრასტრუქტურას და აცნობენ შინაგანაწესს. სკოლაში შემუშავებულია სსსმ მოსწავლეთა ტრანზიციის გეგმა და სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დოკუმენტზე მუშაობა. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადაპტაციის წესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებები. შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების თანახმად სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ პირველ სასწავლო დღეს, რამდენადაც სკოლაში გადმოდიან დაწყებითი სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა სოფლებიდან. გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს და სამომავლოდაც აპირებენ ტრადიციის გაგრძელებას. სკოლაში ფუნქციონირებს სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომელიც განსაზღვრულია 8 საშტატო ერთეულით: 3 სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებელი, 1 კოორდინატორი, 2 სპეციალური განათლების ცენტრის მასწავლებლის ასისტენტი, 1 ფინანსისტი და 1 დამლაგებელი. არსებული ინფრასტრუქტურა მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებაზე, შესაბამისად ყველა კლასი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით და სკამებით. შშმ პირთა ადაპტაციისთვის სკოლის შესასვლელში ჩაშენებულია მყარი პანდუსი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლა წარმოადგენს ინკლუზიური განათლების ცენტრს, სსსმ მოსწავლეთათვის სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, რომელიც სრულად ადაპტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბავშვის უფლებათაკოდექსის მეორე ნაწილი - ბავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მ.შ-ის 2023 წლის 25 სექტემბრის N01-03/45 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; სკოლის მასწავლებლებმა საგნის ექსპერტებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ანიჭებენგანმავითარებელ შეფასებას და მზაობას გამოთქვამენ მომავალშიც რეგულარულად გასცენ განმავითარებელი უკუკავშირები, რაც მათ მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიძნელეების დაძლევაში და პროგრესის დანახვაში უკეთ დაეხმარება. მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი იქნება როგორც ზეპირი კომუნიკაციის ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგების თანახმად, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლას საქმისწარმოების წესში გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესები და ვადები, რომლებიც შესაბამისობაშია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებთან.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის და შინაგანაწესის თანახმად, მოსწავლეებს, გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, შეუძლიათ ისარგებლონ გამოცდების ჩაბარების ექსტერნის წესით, ისარგებლონ ასევე საშემოდგომო გამოცდის ჩაბარების უფლებით. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აიმაღლონ სემესტრული ნიშნები სასწავლო გეგმით გაწერილ ვადებში. სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირიდან გამომდინარე, აპირებს დაწყებით სექტორზე, შექმნას II (2 მოსწავლე) და მე-4 (2 მოსწავლე) კლასების კლას-კომპლექტი (სულ 4 მოსწავლე). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია რომ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს სკოლა განსაზღვრავს სასწავლო წლის დასაწყისში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლა გასულ წლებში სთავაზობდა მოსწავლეებს სვადასხვა კლუბს (მაგ: მკითხველთა კლუბი „საოცრება“, შემუშავებულია კლუბის წესდება, სამუშაო გეგმა,; სამოქალაქო განათლების კლუბი) მათი საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს განსაზღვრავს სასწავლო 2023-2024 ს/წლის დასაწყისში. ამ მიზნითსკოლა გეგმავს მოსწავლეთა გამოკითხვას თვითმმართველობის წევრების დახმარებით და მათი ინიციატივების მხარდაჭერას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- თვითმმართველობის დებულება;
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასებისშედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული პროფესიული ორიენტაციისა დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი, თუმცა სამოქალაქო კლუბის ფარგლებში მიმდინარე წელს ჩატარდა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო პროფესიის არჩევასთან დაკავშირებით მოსწავლეების ინფორმირება. სკოლამ წარმოადგინა სსიპ კოლეჯ ,,ბლექსთან“ გაფორმებული მემორანდუმი, რომლის თანახმად 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეები გადამზადნენ სამკერვალო წარმოებაში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელს მოსწავლეებისათვის სასწავლო პროგრამების გაცნობის მიზნით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეებისთვის. შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ 2023-2024 სასსწავლო წელს სკოლაში განხორციელდება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მოსწავლეთა პროფესიული მიდრეკილებებისა და ინტერესების დასადგენად, მომავალი სასწავლო წლიდან, იგეგმება კითხვარების შემუშავება მოსწავლეებისთვის და ასევე სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ საწარმოში სტუმრობა, რაც ხელს შეუწყობს სკოლას პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეთათვის, შესაბამისად **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა შეიმუშავებს კითხვარებს, რითაც მიიღებს უკუკავშირს მის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობების შესახებ, ხოლო სსსმ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერისთვის შეიმუშავებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმებს და მონიტორინგის შედეგებს ასახავს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში.

სკოლას მიეცა რჩევა - შეიმუშავოს შესაბამისი მეთოდოლოგია, რომელშიც ასახავს, თუ როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას და რომელ ინტრუმენტებს გამოიყენებს ამისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში გაწერილია ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც განმარტავს სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ცნებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად - ისგ ჯგუფის მუშაობის პრინციპებს, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, შინ სწავლების და ასევე მათი უსაფრთხოების პრინციპებს. ინკლუზიური განათლების სასკოლო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები,რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აძლევს თითოეულ მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების თანაბარ შესაძლებლობას. სკოლაში დასქმებულია 1 სპეციალური მასწავლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამეტაპზე ჰყავს სსსმ მოსწავლეები და აქვს მათთან მუშაობის წარმატებული გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა დათანამშრომლობის პრინციპებს.

როგორც უკვე აღინიშნა სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში გახსნილია ინკლუზიური განათლების ცენტრი, რომელიც ფუნქციონირებას დაიწყებს მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს, სადაც რაიონის როგორც სსსმ, ასევე ტიპური განვითარების მოსწავლეები დაეუფლებიან თქაზე მუშაობის და გამოყენებითი ხელოვნების უნარ-ჩვევებს. სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 16 სსსმ მოსწავლე, მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შექმნილია ისგ ჯგუფები, სადაც გაერთიანებულია ყველა საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური მასწავლებლი. თითოეული ჯგუფის მიერ შემუშავებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი: სსსმ მოსწავლეს, საგაკვეთილო პროცესში, სპეციალური მასწავლებელი უწევს ასისტირებას, ფუნქციური საჭიროების შესრულებაში დახმარებას უწევს ასისტენტი. სპეციალური მასწავლებლები წლის ბოლოს აკეთებენ ანგარიშს და წარუდგენენ დირექციას. მშობელთა ინფორმირება ხდება ისგ გუნდის შეკრებაზე წელიწადში ოთხჯერ. ასვე დირექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წლის ბოლოს დირექციას წარუდგენს ანგარიშს. როგორც უკვე აღინიშნა სკოლასა და კილეჯ ,,ბლექსი“ შორის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში სსსმ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სამკერვალო კურსებზე,. სპეც მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი 2023-2024 სასწავლო წლისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

შეიმუშავებენ ინტერვენციის გეგმებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ოქმები;
- სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
- სამოქმედო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლაში მოსწავლეები დადიან რამდენიმე სოფლიდან და მათ ტრანსპორტით მომსახურებას ფინანსურად უზრუნველყოფს მერია, შესაბამისად ხელშეკრულებაც მძღოლთან გაფორმებულია მერიის მხრიდან. ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობაც კონტროლდება მათი მხრიდან. სკოლა აკონტროლებს მომსახურების ხარისხს, აწარმოებს ტაბელს, რომელსაც შემდეგ გადასცემს მერიის სამსახურს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სატრანსპორტო მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. შესრულებული მარშუტების ასახვა ხდება სპეციალურ ცხრილებში.

მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ყველანაირი ექსკურსიის უფლების მოპოვება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის გამართულობას, მედპერსონალის თანხლებას, 150 კილომეტრის რადიუსის დაცვას, მშობლების ნებართვებს, ექსკურსიის გეგმას, დღის რეჟიმს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით. მოსწავლის

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სატრანსპორტო მომსახურეობის მიღებაზე განცხადების შესწავლის საფუძველზე ხდება ინფორმაციის მიწოდება ზემდგომ ორგანოებთან და კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდება მომსახურების გაწევა. სკოლაში დემოკრატიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურის ჩამოყალიბების მიზნით, დაგეგმილია მუდმივი თანამშრომლობა კათედრებს, სადამრიგებლო რგოლსა და სამივე საფეხურის მოსწავლეებს შორის. მდგრადი განვითარების მიზნების განსავითარებლად 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს, სხვადასხვა საგნობრივი კლუბის შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებული ყველა მომსახურება ხორციელდებოდა უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და მომავალშიც სკოლა გეგმავს დიდი ყურადღება მიაქციოს ზოგადად უსაფრთხოების წესების დაცვას და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორის მთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის ბრძანება სატრანსპორტო მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფასთან დაკავშირებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ერთ-ერთი უმთავრეს პრინციპად სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინება. დოკუმენტებში (ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის სამოქმედო გეგმა, რუბრიკები, კათედრის შეხვედრის ოქმი) იკვეთება, როგორ და რა ფორმით მოხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და მათი კურიკულუმში ასახვა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**.

მათემატიკა- სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; როგორც კურიკულუმის ანალიზიდან ჩანს სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზნის მისაღწევად უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები და მშობლის ბარათები ერთიანობაში აჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ კურიკულუმის შედგენაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**.

უცხოური ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ შინაარსობივად და ტექნიკურად შემუშავებული სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთანა და საკითხებთან. თუმცა, მხოლოდ დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე რთულია ამ მიმართულების სტანდარტთან ცხადი შესაბამისობების დადგენა, ძირითადი ფოკუსი გადავიდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე, რამაც შესაძლებელი გახადა არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. ინტერვიუს შედგედ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას **გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.** გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საგანში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი,რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს **კოლეგების შესაძლებლობები,** რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. რაც შეეხება, **მშობლებს**, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა **სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან** რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი **პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე,** რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები - განხილული დოკუმენტაციიდან ჩანს რომ კურიკულუმის შემუშავების მეTოდოლოგია სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. გასაუბრებისას მასწავლებელმა ისაუბრა კურიკულუმი იგეგმება კათედრალურად, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა სა სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა თუმცა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად ამუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ეს ნაწილი ეცნობა კურიკულუმებს და იწონებს მათ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის სამოქმედო გეგმა, რუბრიკები, კათედრის შეხვედრის ოქმი, პროექტები) შესწავლისას და ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს უწევს იმსჯელოს მისთვის აქტუალურ თემაზე, ერთი პერსონაჟის ხედვის კუთხედან მისწეროს წერილი მეორე პერსონაჟს (წერილის ფორმა მისთვის უკვე ნაცნობი კონტექსტია). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით: კერძოდ, მათემატიკის კათედრა ირჩევს სასწავლო პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით, კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. **შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები ახალი ცოდნის კონსტრუირება განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკა -წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, ხდება ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ამას ადასტურებს საკითხების შერჩევა, მაგალითები შედარებისათვის და როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, დეტალურად გაიწერება კომპლექსური დავალების აქტივობებში. ეს გარემოებები აისახებოდა როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში, რითაც **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ნაწილობრივ გააზრებულია და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომლებსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-,,კათედის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალებების შერჩევისას გაითვალისწინეს კონსტრუქტივისტული მიდგომა. აქტივობებს მეტწილად ახორციელებდნენ მარტივიდან რთულისაკენ. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმაება კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება წინარე ცოდნის შეფასება-ანალიზის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ცოდნის მიმართვა მაღალი საზროვნო უნარებისაკენ, რათა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რასაც დაადასტურებს მათ მიერ შექმნილი პროდუქტი. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი".**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა- დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ გასასვლელ ბილეთებს, თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის , რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე: კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები - სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე; სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.
Iინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა -_სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, ასევე ჯგუფის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კათედრას წარმოდგენილი აქვს პროექტები და აქტივობები, ინტერვიუების დროსაც აღნიშნეს, რომ კათედრა სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება , დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმში ასახონ სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, განივითაროს მეტაკოგნიტური უნარები, დააკვირდეს საკუთარს/თანატოლთა სწავლის პროცესს, დაკვირვების შედეგად გააკეთოს თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება და შედეგად მიხვდეს, რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისათვის. მოსწავლეს მიეცემა დავალებების ანალიზის საშუალება: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და სხვ.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინების შესანიშნავი მაგალითია კათედრის მიერ წამოწყებული პროექტი, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირობისეული ცოდნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე : კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რადგან სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები გასაუბრებისას ირკვევა, რომ კომპლექსური დავალებების აქტივობებში, კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალების ძირითადი კონტექსტ-მაგალითები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ამ მიმართულებისაკენ იქნება ცოდნის სამ კატეგორიაზე; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- დაწყებით საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკა სასწავლო პროცესის აგება ცოდნის სამ კატეგორიაზე დეტალურად აისახება კომპლექსური დავალებების აქტივობებში, თუმცა ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალების ძირითადი კონტექსტ-მაგალითით და მასწავლებელთა საუბრებიდან გამომდინარე ხედვა ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი ამ მიმართულებისაკენ იქნება წარმართული. კომპლექსური დავალება ისედაც ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიაზე მორგებული კითხვებით გაჯერებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ინტერვიუს დროს , დაწყებითი საფეხურის საზ. მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სწორედ სამივე ცოდნის კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (ბუნებისმეტყველებაI-VI) კურიკულუმებზე დაყრდნობით იკვეთება,რომ ფაქტობრივი ცოდნის გარდა მოსწავლეს შეუძლია ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში განზოგადება. კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის გამოცდილება. სკოლა ხელს უწყობს კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას,როგორიცაა: სასკოლო კლუბები, წრეები, ექსკურსიები და სხვა.**ინდიკატორი შფასდა,როგორც ,,შესაბამისი".**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სამიზნე ცნებები და ქვეცნები,რაც ცხადყოფს რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირებაზე. მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. კათედრის მიერ დაანონსებულ დაგეგმილ სასწავლო პროექტშიც მოსწავლეებს მოუწევთ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა დასახული მიზნის მისაღწევად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა - სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება: პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა - წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, პროდუქტის შემქნაზე რისი შესაძლებლობაც მოსწავლეს აქვს.რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის შემოქმედებიტი უნარის გააქტიურებას. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ ითვალისწინებს სხვის გამოცდილებას. შესაბამისად სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილ იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა -_მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) დაწყებითი საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია **მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მე და საზოგადოებისა და ჩემი საქართველოს , საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხშირად ხდება საგანთა ინტეგრაციით პროექტების დაგეგმვა-განხორციელება. რაც მოითხოვს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგეგმება ასევევ ინტეგრირებული გაკვეთილები. სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე წელს საბაზო საფეხურის კათერდ მოსწავლის ცოდნისა და უნარების ორგანიზებას ახორციელებდა ძირითადად დაკვირვებისა და ჩანაწერების საფუძველზე. იგეგმება შეფასებისა და თვითშეფასების დღიურების გამოყენება კომპლექსური დავალებების განხორციელება/შეფასებისთვის, ასევე მოსწავლის პორტფოლიოების წარმოება, რომლის საშუალებითაც მოსწავლეც და მასწავლებელიც დაინახავს თავის შესაძლებლობებს, **ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩოები (II-VI კლასები);
- თემატური მატრიცის ნიმუში;
- ეკოკომიტეტის სამუშაო მასალები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სახელმწიფო ენა** - კათედრის მიერ წარმოდგენილი II-VI კლ. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ჩანს, თუ როგორ ასრულებს შუალედური მიზნების როლს შეთავაზებული კომპლექსური დავალებები: მითითებულია შესაბამისი სამიზნე ცნება, რომელსაც უკავშირდება ესა თუ ის კომპლექსური დავალება (ზოგ შემთხვევაში დასაზუსტებელია ქვეცნებები და ქვესაკითხები) . დანართის სახით მოცემულ კომპლექსური დავალებების პირობაში ზოგ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი კრიტერიუმები , რომელიც კორელაციაში უნდა იყოს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ დამტკიცებამდე ამ კუთხით აუცილებლად გადაიხედება კურიკულუმები და დაზუსტდება ცნებების, ქვეცნებებების/ქვესაკითხების და კრიტერიუების ურთიერთმიმართება, რისი მნიშვნელობაც კარგად აქვთ გააზრებული.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით: სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას მათემატიკის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. **შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა (მოსწავლეებსა და მშობლებს ეგზავნებათ შესაბამისი ბარათები, სადაც დეტალურადაა გაწერილი დავალების პირობა და რა რესურსის შექმნა მოუწევს მოსწავლეს) და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- დაწყებით საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზ. მეცნიერებების კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. მე-5_ მე -6 კლასის ჩვენი საქართველოს საგნის კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი, თუმცა კურიკულუმში სასურველია საკითხებისა და ძირითადი ქეისების (კონტექსტმაგალითების) გადახედვა და სისტემაში მოყვანა, რაც სექტემბისთვის აუცილებელია რომ შეივსოს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხურის საგნობრივ (ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, შერჩეული საკითხები იძლევა თემის დამუშავების საშუალებას მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელწყობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ მასალაზე, რომელიც მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს, დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ლიტერატურული მასალა, პერსონაჟების განცდები, ემოციები დაუკავშიროს საკუთარ ემოციებს, დააკვირდეს, როგორ არის წარმოჩენილი ტექსტებში ადამიანური განცდები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, შეძლოს გუნდური მუშაობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას: კერძოდ, კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი, მოსწავლის პერფომანსი, მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; სასწავლო პროცესში სხვადასხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა_დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ორივე საგნობრივი მიმართულებით ,საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ შექმნილი არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა; ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

მხარდამჭერი გარემო.მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება მრავალმხმრივი აქტივობების განხორციელება,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სახელმწიფო ენა- წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ. პომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო ეფექტურად შეირჩევა კონკრეტული ინსტრუმენტი , კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე: განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; **შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- სკოლის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებელმა ისაუბრა შეფასების სისტემაზე (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება), აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ფიზკიური აღზრდა სა სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდასა და სპოტში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - გააზრებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, ამიტომაც შეფასების სისტემა განმსაზღვრელთან ერთად განმავითარებელი შეფასებითაც აისახება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას, აძლევს მიმართულებას და ასწავლის გზებს შემდგომი წინსვლისათვის. ასევე შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, განმავითარებელი შეფასებისათვის სკოლა ასევე იყენებდა საკლასო აქტივობების შეფასებასაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ ჯგუფთან მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-. სკოლის შეფასების სისტემა მოიცავს საგნობრივი კათედრების/მასწავლებლის მიერ შედგენილ შეფასების რუბრიკებს ცალკეულ საგნებში განმავითარებელი შეფასების ფორმებს და და მეთოდებს. მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებაბის მიზნით კიდევ გადაიხედება რუბრიკები, რათა შეფასება მიმართული იყოს მის როგორც კოგნიტური, ისე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სახელმწიფო ენა- მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა-შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი: კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია . ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, შესაბამისად შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების, მოსწავლეთა ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი დამუშავების პროცესშია და სწავლის დაწყებამდე დასრულდება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-.კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (ჰოლისტური) შესაბამისობაშია კონკრეტულ აქტივობასთან, თემასთან და სასწავლო მიზანთან. შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ნათლად და ასახავს შედეგის მიღწევის დონეს. შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია ყველა მოსწავლისათვის. შეიქმნება ახალი ანალიტიკური რუბრიკები,რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას მისცემს სკოლას პროცესი გახადოს უფრო მეტად ვალიდური,სანდო,ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა- შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემა შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება შემდგომ ეტაპზე მეთოდოლოგიურ დანართში. ამ ეტაპზე შესაბამისობა დადგინდა ცალკეულ ინსტრუმენტებსა და რუბრიკებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა - შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემა ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება შემდგომ ეტაპზე მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპისათვის, ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი არ აქვთ შემუშავებული, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას გააზრებული აქვს ვერიფიკაციის ის მექანიზმი, რაც სკოლაში/კათედრაზე ამოქმედდება მომდევნო სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო ტექნოლოგიები გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დირექციის მიერ ხდება მონიტორინგი თუ რამდენად შეფექტურია შემუშავებული შეფასების რუბრიკები და ასახავს თუ არა ზუსტად მოსწავლის შესაძლებლობებს, ასევე გასაუბრებისას არნიშნეს რომ სკოლაში გასაუმჯობესებელია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**
ესთეტიკა - ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ იმ გამოცდილებისა და კომპეტენციის საფუძველზე, რაც აქვთ. გამოთქვამენ მზაობას 2023-2024 სასწავლო წლისთვის უფრო მეტად გაერკვნენ საკითხის არსში და იმოქმედონ სკოლის საერთო ინტერესის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ ჩატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ აქტივობების შეფასებისას იყენებდნენ ჩანაწერებს და დაკვირვების ცხრილებს. საწყებითი საფეხურის საგნობრივი შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება ვერიფიკაციის მექანიზმს. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება აღნიშნული სისტემის გაუმჯობესება და გადასინჯული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა. მოსწავლეები წინასწარ გაეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს და დავალების შესრულებისათვის განკუთვნილ ვადებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა- შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ სამი წლის ვადით.

უცხოური ენა- მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო ტექნოლოგიები მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა -_სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშფასების კითხვარი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სახელმწიფო ენა- სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის.სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**
მათემატიკა- სასწავლო პროცესში კათედრის წევრებს შორის იკვეთება ურთიერთმხარდაჭერის და ურთიერთდახმარების თანამშრომლობითი ურთიერთობები, ხდება კონსტრუქციული დიალოგი ასევე თითოეულ პედაგოგს აქვს მიმღებლობა. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის.ეს ყველაფერი დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. ამ ნაწილის დამადასტურებელია ის ანალიზი რაც წინა კრიტერიუმების აღწერით შეფასებაშია მოცემული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

საინფორმაციო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგემა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სასწავლო გარემოს, გამოყენებული სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების საფუძველზე. გაკვეთილის ჩატარების შემდეგ ,მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას.კათედრაზე შეფასების ჯგუფი გასცემს რეკომენდაციებს ინტერვენციების შესახებ.სამომავლოდ იგეგმება შეიქმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომელიც იქნება საფუძველი გადამუშავებული ვერსიის შექმნისათვის.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ წინა წლის საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება ასახულია 2023-2024 წლის კურიკულუმში . ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა.. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთი და იმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, წარმოდგენილი და გააზრებული აქვთ შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტი.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობით და გამოცდილების გაზიარებით შემუშავდა განახლებული კურიკულუმის ჩარჩოები. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება , კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები შემუშავება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

უცხოური ენა- კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებითიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, მონიტორინდის დაშეფასების შედეგებს არსებული კურიკულუმების მოთხოვნილებისამებრ, აკეთებენთვითშეფასებას და მის საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურიათუნდაც გადამუშავებული წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.ი**ნდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საინფორმაციო ტექნოლოგიები - გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. კათედრის წევრები გეგმავენ ისევ მოხდეს, კურიკულუმის გადახედვა და ახალი სასწავლო წლისთვის იყოს სრულყოფილი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენისას - კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას,
ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“**

ესთეტიკური აღზრდა - კათედრა მონიტორინგის პროცესში შეგროვებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მოახდენს პრობლემების, გამოწვევების გამოკვეთას/გამოვლენას, რეკომენდაციების შემუშავებას, რასაც ასახავენ მოდევნო წლის კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის, ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია სამოქალაქო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ფარგლებში სწორედ ძველი სასწავლო წლის კურიკულუმზე დაფუძნებით შეიქმნა ახალი სადაც სწავლის პროცესი მიემართება კომლექსურიდან კომპლექსურისკენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია/გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს; მიმდინარე სასწავლო წელს შემოთვაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების ოთხი ინსტრუმენტიდან შერჩეულია მეორე და მესამე ინსტრუმენტები, რის საფუძველზეც შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ცალკეული ინსტრუმენტები;
- გასაუბრების დროს დაზუსტებული ინფორმაცია;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- დაწყებითისაფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	■ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახტ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც უნდა აისახოს როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, დამუშავების ეტაპზეა, მაგრამ წარმოდგენილია ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე . სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, კათედრის ფუნქციები, დამრიგებელთა მუშაობის პრინციპები, კათედრის ანგარიშებში ასახული აქტივობების ანალიზი ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მათემატიკის კათედრის მიერ მოწოდებული, საბაზო საფეხურის კურიკულუმები, იძლევა იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ: მის შექმნაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოებამ, რადგან მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდა ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევა , რომელმაც წინა წელს კარგად იმუშავა, ამასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მზაობა იმისა, რომ უფრო ფართოდ მოხდება კურიკულუმის შემუშავების დროს დაინტერესებული პირების ჩართულობა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ შინაარსობივად და ტექნიკურად შემუშავებული სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთანა და საკითხებთან. თუმცა, მხოლოდ დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე რთულია ამ მიმართულების სტანდარტთან ცხადი შესაბამისობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენა, ძირთადი ფოკუსი გადავიდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე, რამაც შესაძლებელი გახადა არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. ინტერვიუს შედგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას **გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები.** გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საგანში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი,რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს **კოლეგების შესაძლებლობები,** რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. რაც შეეხება, **მშობლებს**, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა **სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან** რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი **პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე,** რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-.ფიზიკური აღზდა და სპორტი;სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა თუმცა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (შობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

ესთეტიკა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ეს ნაწილი ეცნობა კურიკულუმებს და იწონებს მათ. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწვალეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება); ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი".**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხურის საგნობრივი(ქიმი,ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმები შემუშავდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, მეტწილად მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე სკოლამ წარმოდგინა მხოლოდ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო. 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერსებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამისათვის საბაზო საფეხურის კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეხვდება მშობლებს, მოუწოდებს მათ სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობისა და თანამშრომლობისკენ, გააცნობს მათ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. იგეგმება მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასათვალისწინებლად. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი".**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სახელმწიფო ენა- სასკოლო სასწავლო გეგმაში ხაზგასმით ჩანს კავშირი ამ დოკუმენტის სამ ნაწილს (სკოლის სპეციფიკური მისია-ხედვა-ღირებულებები და სტრატეგიული განვითარების გეგმა, საფეხურის სასკოლო კურიკულუმი/კურიკულუმები, დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები) შორის. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტზე დაფუძნებით წარმოაჩენს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, სასკოლო კურიკულუმის სტრუქტურულ ერთეულებსა და დანერგვის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით ხსნის ამ პრიორიტეტების ყოველდღიურ სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმს. ეს მექანიზმები სამომავლოდ დაკონკრეტდება მეთოდოლოგიურ დანართში, ამ ეტაპზე კი მხოლოდ წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალების პირობა და განმავითარებელი რუბრიკის ჩარჩო, დანერგვის ინსტრუმენტები, დანერგვის პროცესში გამოყენებული სასწავლო რესურსები წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა-კურიკულუმი შედგება იმ კომპლექსური დავალებებისგან, რომელმაც მიმდინარე 2022-2023 სას. წელს კარგად იმუშავა. მოსწავლეებმა თავიანთი ცოდნა და უნარები წარმოადგინეს შესაბამისი პროდუქტის სახით. სადაც ჩანს მოსწავლეთა ინტერესი, სკოლის საჭიროება, კურიკულუმის შედგენაში კათედრის წევრთა ჩართულობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმის შემუშავების პირველ ინდიკატორში განხილული მეთოდოლიგია იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. **Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სასკოლო საგნობრივ კურიკულმში ნამდვილად ასახულია მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

ესთეტიკა - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა საზოგადოების სხვა წევრების მათ შორის მშობელთა ინტერესები. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით, სადაც ჩანს რომ სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად გატანილია კურიკულუმის გაცნობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე, სასკოლო საზოგადოება მზად არის ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური განათლება სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესებია კურიკულუმში ასახული, რაც საზ. მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებული იქნება მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში (ქიმია,ბიოლოგია ფიზიკა) სასკოლო საზოგადოების ინტერესები მეტწილად ასახულია მასწავლებელთა პირად დაკვირვებასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნის მასწავლებლები დამრიგებლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ დაგეგმილ ღონისძიებებს, ასევე რთავენ მოსწავლეებს ოლიმპიადებსა და კლუბებში. ამ მიმართულების გასაუმჯობესებლად დირექციასთან შეთანხმებით 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება მშობელთა და მოსწავლეთა წერილობითი გამოკითხვა. ამგვარად მიღებული უკუკავშირის საშუალებით გამოავლენენ როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობელთა ინტერესებს და შესაბამისად ასახავენ მათ სასკოლო კურიკულუმში.**ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი”.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სახელმწიფო ენა- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დამუშავების/ შექმნის ეტაპზეა, მაგრამ სკოლამ წარმოგვიდგენა ცალკეული ინსტრუმენტები კონკრეტული პროცესის შესაფასებლად, სასკოლო ცხოვრების, აქტივობების ამსახველი მასალა, კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები/მასალა, კურიკულუმის ჩარჩოები, რომელიც წარმოაჩენს კურიკულუმის შემუშავების/განვითარების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. გასაუბრების პროცესში მათ აღნიშნეს, რომ კათედრაზე ერთობლივად შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოები, კომპლექსური დავალებების შერჩევისას კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაწილეობა, გარდა ამისა, დავალებების აღნიშვნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მიმდინარე სასწავლო წელს მშობელთა და დირექციის წარმომადგენელთაგან მიღებული უკუკავშირი, გარდა ამისა კათედრის წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყო საბაზო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები, მომავალი სასწავლო წლისათვის შექმნილია სასკოლო საზოგადოების უფრო მეტი ჩართულობით ახალი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიური ჩარჩოს სამუშაო ვერსია.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. კერძოდ, შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საგანში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. რაც შეეხება, მშობლებს, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედეგეი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა სა სპორტი- ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს თემებსა და აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".**

ესთეტიკური აღზრდა - საგნობრივი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია ესთეტიკის კათედრაზე და მის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრების აზრია გათვალისწინებული, რაც დასტურდება სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით და პედაგოგებთან ინდივიდუალური ინტერვიუებით, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა **შეესაბამება** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი"**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კურიკულუმის შემუშავების პროცესში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შექმნიალია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, რაც აღნიშნულია კიდეც თვითშეფასების კითხვარში. სკოლა დაეყრდნობა ჩატარებულ კვლევას და ამის მიხედვით განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ მიმდინარე სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავდა მეტწილად მასწავლებლების მიერ მოსწავლეებთან და მშობლებთან ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე., . სკოლა სამომავლოდ (2023-2024 სასწავლო წლისათვის) გეგმავს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვას,რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მათი შესაძლებლობები და ინტერესები. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი”.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

სახელმწიფო ენა- სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ: საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები . სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა. ფოქუსჯგუფთან მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას აკავშირებენ კურიკულუმის , კურიკულუმის შემოშავების მეთოდოლოგიის შექმნის პროცესთან.**ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი”.**

მათემატიკა-კურიკულუმი განხილულია პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი”.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- როგორც ინტერვიუს პროცესში გმოიკვეთა, საგნის სამივე საფეხურის ახლად შემუშავებული კურიკულუმი ‘გაზიარებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმსა და კომპლექსური დავალებების ბარათებს მშობლებს გააცნობენ მშობელთა კრებაზე.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი”.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი”**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, სოციალური მედია და ა.შ. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ კურიკულუმების განხორციელების პროცესში პარალელური კლასის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას. .კომპლექსურ დავალების პირობა, თავის მისაღწევი შედეგებით მშობლებს უზიარდებათ ბარათების სახით. 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმევება სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით მშობლებთან პირისპირ შეხვედრები, რათა უფრო მეტად მოხდეს მათი ინფორმირება და გათვიცნობიერება. ასევე, შესაძლებელია, გამოიყენონ ერთეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების გამოცდილება ელექტრონული პორთფოლიოების-ბლოგების წარმოების შესახებ. სადაც შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმების გაზიარება და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი".**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- VII-VIII კლასის კურიკულუმების ჩარჩოები;
- კათედრის შემაჯამებელი ოქმები;
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გეგმა;
- გაკვეთილის რეფლექსიები;
- VII-IX კლასის კურიკულუმები(ქიმია მე-8,მე-9 კლ,ბიოლოგია მე-7,მე-8,მე-9,ფიზიკა მე-7,მე-8 მე-9 კლ);
- მოდიფიცირებული კომპლექსური დავალებები;
- სკოლის თვითშეფასება.
- VII, VIII, IX კლასის კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები, კომპლექსური დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები

1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სახელმწიფო ენა- სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია გძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-მათემატიკის კათედრამ კურიკულუმები ააგო იმ ფორმატით, რომ გათვალისწინებულ იქნა გრძელვადიანი მიზნის (სამიზნე ცნების) მისაღწევი ღონისძიებები შუალედური სასწავლო მიზნით. კერძოდ ,კომპლექსური დავალების საშუალებით, სადაც კარგად სჩანს რომ ეს პროცესები ეფუძნება მოსწავლეთა განვითარებას და მის პროგრესს ემსახურება, ამასთან აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ასახავს იმ მიზნებს, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს მოსწავლემ კლასის დონეზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამები სანალიზი იძლევა შესაძლებელობას დავასკვნათ, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ცხადია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. სრულყოფილად და გასაგებადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- - წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

ესთეტიკა სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საბაზო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის კათედრეზე ორიენტირებულია მოსწავლეზე, კურიკულუმში ასახულია კომპლექსური დავალებები, რაც თავისთავად უბიძგებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში მოცემული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებით მზაობის დასტურია. გარდა ამისა, გასაუბრების დროს მასწავლებლებმა გამოხატეს იმის მზაობაც, თუ როგორი აქტივობებით შეიძლება კომპლექსური დავალებების დამუშავება (მაგ. ასაკობრივი ზღვარის შესაბამისი სახალისო დისკუსიები, თამაშის ელემენტები სა სხვ.), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს უწყვეტ ნაკადად წაიყვანს. ამრიგად, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მე -7, მე- 8 , მე-9 კლასის ფარგლებში მომზადებული კურიკულუმები: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლება - პროექტი, და მოქალქეობის მიმართულებები, ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის სავალდებულო თემებში არსებული საკითხები, თავისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებით, რომელიც უნდა დამუშავდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. კურიკულუმში სექტემბრამდე გასაწერია კომლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი, შედარებითი მაგალითი . მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. დავალებები აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას, რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. (მტკიცებულება _სამოქალაქო განათლების კურიკულუმი) საქ. ისტორიის, ისტორისაა და გეოგრაფიის კურიკულუმებში სექტემბრამდე გასაწერია კომპლექსური დავალებების იდეა, ძირითადი კონტექსტ მაგალითები თავისი შედარების მაგალითებით. დასაკონკრეტებელია საკითხები და კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, გააანალიზონ განვლილი გზა და დაგეგმონ პროცესი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი”.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

სახელმწიფო ენა- სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა. კათედრის წევრები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ კომპლექსური დავალებებისთვის მოსამზადებელ ეტაპებზე აქტივობებს აღნიშნული პრინციპით შეარჩევენ. განხილვის საგანი გახდება კონკრეტული აქტივობა რომელი ფუნქციური უნარის განვითარებას ისახავს მიზნად და რამდენად მოხერხდა მიზნის მიღწევა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა კათედრის შემაჯამებელ ანგარიშსა და რეფლექსიაში წარმოადგინეს ისეთი აქტივობები, რომლებიც ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად, აღინიშნა რომ იმავე აქტივობებს განახორციელებენ მომდევნო სასწავლო წელს და გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას კურიკულუმის მეთოდოლოგიის შექმნის პროცესში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კურიკულუმები ნათლად ასახავს მესამე თაობის ესგ მოთხოვნებს თითოეულ ინდიკატორთან მიმართებით, ამასთან წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ესთეტიკა - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ხდება თემაში სამიზნე ცნებების დამუშავება კომპლექსური დავალებებით, რაც ცხადყოფს შუალედური როლის მორგებას გრძელვადიან მიზნებზე გასასვლელად. როგორც გასაუბრების დროს გამოიკვეთა, ამის ხელშემწყობი გახდება ასევე კომპლექსური დავალებების დამუშავების და საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული აქტივობები. ფუნქციური უნარების და მაკრო ცნებებისაკენ მიმავალი გზა. მასწავლებლებმა გამოკვეთეს ასევე საბაზო საფეხურის მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით სასკოლო პროექტებში, როგორც უკვე განხორციელებულში, ასევე ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებულ პროექტშიც აქტიურ ჩართვას გეგმავენ. ხელისშემწყობ გარემოებად იკვეთება სადამრიგებლო პროგრამებიც. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები ხშირ შემთხვევაში მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, როგორც შიდა ისე საერთაშორისო მიმართულებით. სახვადასხვა პროგრამა და ღონისძიებები, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,.შესაბამისი".**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე სასწავლო წლის საბაზო საფეხურის საგნობრივი(ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) კურიკულუმები მეტწილად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ფუნქციურ უნარებს. თუმცა პრაქტიკამ აჩვენათ, რომ არსებული კურიკულუმები დასახვეწია. ამ ეტაპისთვის მასწავლებლები საგნობრივი ქოუჩების მიერ ორგანიზებული ტრენინგებითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით უფრო მეტად გარკვეული არიან ამ მიმართულებით. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა. გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განახორციელებენ დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს და დანერგავენ მისი მიღწევის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენა- სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ გათვალისწინებეულია მოსწავლის საჭიროებები, შესაძლებლობები და პოტენციალი. მიმდინარე შეფასებისთვის მასწავლებელთა მხრიდან დასახელებული ინსტრუმენტები ცხადყოფს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება გამოხატონ მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელები აღნიშნავენ , რომ რამდენჯერმე შეცვალეს შესაქმნელი პროდუქტი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ საკითხი და გრძელვადიანი მიზანი უცვლელი დარჩა. კათედრა გეგმავს მოსწავლეთა მიღწევების შეფასებასა და ანალიზსს, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთას. ამ ეტაპზე კათედრის დონეზე პროცესის შესასწავლად/ შესაფასებლად იყენებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ იდივიდუალური გეგმის საშუალებით, ადაპტირებული დავალებებითა და აქტივობებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია .სკოლა ჩართულია „დაწევისა და დაჩქარების კურიკულუმის პროგრამაში" რაც გულისხმობს მოსწავლეთა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას. წარმოადგინეს კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ადაპტაციის კუთხით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდგეგმებზე მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- -სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სკოლაში ფიზიკური ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლებისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები.კათედრამ მტკიცებულებების სახით წარმოქდგინა ადაპრირებული კომპლექსური დავალებები, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით(ქიმია,ფიზიკა,ბიოლოგია).სკოლა ფლობს მრავალფეროვან მატერიალურ რესურს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას.პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ ამ მიმართულებით გეგმავენ ამგვარი მიდგომების გასაუმჯობესებელი მექანიზმების შემუშავებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი"**

ესთეტიკა წარმოდგენილი საგნების (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზრვულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობის, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას). მასწავლებლებს წარმოუდგინეს მტკიცებულებები (მოსწავლეთა ნამუშევრები) დასკვნა ეყრდნობა მათ მიერ გაზიარებულ გამოცდილებასა და წარმოდგენილ მტკიცებულებებს . **დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზ. მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კერძოდ მე და საზოგადოების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმებით, შეფასებებითა და ანგარიშებით. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, სთავაზობენ მრავალფეროვან რესურსებს, აუდიო ან ვიზუალურ მასალებს, გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ მომავალი სასწავლო წლისთვის შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები მიგვანიშნებს, რომ დააკვირდებიან როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლის წინარე ცოდნა, წარმოდგენები შესასწავლ საკითხთან, თემასთან დაკავსირებით, გამოავლენს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შესძლებლობას მისცემს მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების გამოკვეთისა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მასწავლებელთა მხრიდან ხაზგასმულია კომპლექსური დავალებების განმავთარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი , დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობა. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილი განმავითარებელი რუბრიკები გახდება მეთოდოლოგიური დანართის ნაწილი, დაკონკრეტდება კონკრეტული რუბრიკა, რომელიც კონკრეტული მიზნისთვისაა. კონკრეტული პროცესის შესაფასებლად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სოლო ტაქსონომიას. ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკა, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით (8 კლასი), რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ფორმების წარმოების წესზე. შეფასების ორივე ფორმა ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი".**

ესთეტიკა მტკიცებულებების სახით კათედრას აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე შემავალი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მომავალ წელს გეგმავენ შეიმუშაონ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზ. მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისთვის შეერჩია I მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა: დისკუსიის, ჩართულობის, პროექტის შეფასების, პრეზენტაციის დაა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა არ არის განმავითარებელი შფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნიან როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიის საფუძველზე,რისი საშუალებითაც დგინდება მოსწავლეთა მიღწევები და საჭიროებები.მოსწავლეები მუდმივად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, ძირითადად ზეპირსიტყვიერად. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით (ძირითადად წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები) ადგენენ მოსწავლის მიღწევის დონეს. გლობალური უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოიყენება ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, დისკუსიის, კვლევის და ა.შ ჰოლისტური რუბრიკები. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკების შექმნას შესასწავლ საკითხებთან მიმართებით. ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რევიზიას. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც ,,შესაბამისი".**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სახელმწიფო ენა- სკოლა აღნიშნავს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა- წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში. გამოცდილების გაზიარებას და შედეგების ანალიზს ადასტურებს კათედრის მუშაობის ოქმები . **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევებს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - წინარე გამოცდილებას დაგეგმვის პროცესში აქტიურად და სისტემატურად იყენებენ. ეს გამოიხატა როგორც მთლიანად კურიკულუმის შემუშავებაში, ასევე საკითხების შერჩევაში, კომპლექსური დავალებების შერჩევაში, შემოქმედებითი პროდუქტის შერჩევაში, აქტივობების შერჩევაში. აჯამებენ რა კათედრაზე შედეგს და უზიარებენ კათედრის წევრები ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, ყოველივეს ითვალისწინებენ დაგეგმვის პროცესში. მაგალითისათვის გასაუბრებაზე განიხილეს ხელოვნების რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომელიც გასულ სასწავლო წელს განახორციელეს და შემოქმედებით პროდუქტად შესთავაზეს მოსწავლეებს, ეფექტიანობის გამო აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური გათვალისწინებული აქვთ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმშიც. ასევე უდიდეს როლს თამაშობს სადიაგნოსტიკო ტესტირებაც, რისი განხორციელების გამოცდილებაც აქვს სკოლას. ყოველივე ამით **დასტურდება ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ახალი სასწავლო კურუკულუმების შექმნის დროს აქცენტი კეთდებოდა ორი მიმართულებით: მასწავლებლების წინა სასწავლო კურიკულუმის ფარგლებში, განხორციელებული კომპლექსურებზე გაკეთებულ რეფლექსიებზე დაყრდნობითა და ასევე სკოლაში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის საფუძველზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხურზე სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე გააანალიზოს მოსწავლეთა შედეგები და ამის გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში. კერძოდ, კომპლექსურ დავალებებზე სასკოლო საზოგადოების შეხედულებების გარკვევის მიზნით შეიქმნება კითხვარები და სასწავლო წლის დაწყებამდე გამოიკითხებიან მშობლები და მოსწავლეები. მიღებული უკუკავშირი გაანალიზდება და გათვალისწინებული იქნება კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინსტრუმენტები მოსწავლეთა მიღწევების მიმდინარე შეფასებისთვის;
- კათედრის ანგარიშის ოქმი, სადაც ასახულია აქტივობები, რომლებიც გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- კათედრის ანგარიშის ოქმები;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.
- VII, VIII, IX კლასის კურიკულუმები, კათედრის სხდომის ოქმები, კომპლექსური დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სახელმწიფო ენა- კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარდაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრისა, კომპლექსური დავალებები, რომლებიც ჩაშენებულია კურიკულუმის ჩარჩოში ისეთი აქტივობების დანერგვას ითხოვს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, იგი გამოკვეთს, განიხილავს და წყვეტს პრობლემას, ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გვხვდება კომპლექსური ბუნების დავალებები, ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- სასწავლო პროცესი ორგანიზებულია, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, აგრეთვე ორივე საგანში განხორციელებული სასწავლო პროექტები, მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დაგეგმილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ინტერვიუს დროს საბაზო საფეხურზე საზ. მეცნიერბების საგნობრივმა ჯგუფმა ხაზგასმით ისაუბრა , რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსურ დავალებებით, რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. თუმცა ამ ეტაპზე თემაში ძირითადად ერთ კომპლექსურ დავალებას მოიაზრებენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის მიზანია, ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამის 7 საფეხურიანი გეგმის განხორციელება ბიომრავალფეროვნების თემატიკაზე და მთელი სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. სკოლის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების კუთხის მოწყობა-მაგალითად: გადაშენების პირას მყოფი კოლხური ბზის და ასევე სხვა მცენარეების გაშენება, ბიომრავაფერნოვების თემასთან დაკავშირებული კედლის ნახატის შექმნა. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული საბუნებისნეტყველო მეცნიერებების კათედრა.მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება კურიკულუმების სრულყოფა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელება.საგნობრივი თემის შესწავლის ფარგლებში გამოვლენილი ინტერესები და იდეები საფუძვლად დაედება სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სახელმწიფო ენა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩო აგებულია თემატური ბლოკების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე და წარმოდგენელი თემატური მატრიცებით სადაც აღწერილია ცოდნის კონსტრუირების გზა, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკა - საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. კათედრა მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლებას და დავალების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობა, შინაარსი, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი და ა.შ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რაც მაძლევს საფუძველს დავასკვნა, რომ მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა-სწავლების პროცესში **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომლებსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ და ამას ახერხებენ ისეთი შეკითხვების დასმით, როგორი კითხვებიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის აგებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-,,კათედის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალებების შერჩევისას გაითვალისწინეს კონსტრუქტივისტული მიდგომა. აქტივობებს მეტწილად ახორციელებდნენ მარტივიდან რთულისაკენ. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმაება კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება წინარე ცოდნის შეფასება-ანალიზის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ცოდნის მიმართვა მაღალი საზროვნო უნარებისაკენ, რათა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რასაც დაადასტურებს მათ მიერ შექმნილი პროდუქტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში პოცესები იმგვარადაა დაგეგმილი, მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული კომპლექსური დავალებები მოსწავლის მხრიდან მოითხოვს მსჯელობას საკუთარ გამოცდილებასა და ინტერესზე, გადაწყვეტილების პროცესში საკუთარ პოზიციასა და დასკვნების ვალიდურობაზე, მასწავლებელთა მიერ განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობები, დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული კომპლექსური დავალებების დანერგვის პროცესი შესძლებლობას იძლევა მხარდაჭერილ იქნას მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლეს ეძლევა საშუალება ახსნას რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელიშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა, ეხმარება მოსწვალეს საკუთარი აკადემიური (და არა მხოლოდ აკადემიური) თვითცნობიერების განვითარებაში. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მათი მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რაც აისახება სამომავლოდ მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.(ექვსი კომპონენტური უნარი). საბაზო საფეხურის თითოეული კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ესთეტიკური აღზრდა - სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ, თუ როგორ უნდა წახალისდეს სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თუ როგორ უზრუნველყოს მასწავლებელმა მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ შეიძლება სამომავლოდ უზრუნველყოს მოსწავლეებში სწავლის, მრავალფეროვანი სტრატეგიების დაუფლება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, ასევე ჯგუფის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ კათედრა სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება , დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმში ასახონ სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, განივითაროს მეტაკოგნიტური უნარები, დააკვირდეს საკუთარს/თანატოლთა სწავლის პროცესს, დაკვირვების შედეგად გააკეთოს თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება და შედეგად მიხვდეს, რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისათვის. მოსწავლეს მიეცემა დავალებების ანალიზის საშუალება: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და სხვ.**ინდიკატორი შეფასდა,როგორც „შესაბამისი“.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები იმგვარადაა აგებული, რომ ყურადღება მახვილდება ცოდნის სამ კატეგორიაზე. მომავალი წლის სასწავლო კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს იმგვარ ამოცანას , სადაც პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება მოუწევთ, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა. მასწავლებელები აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი მიზნად ისახავს კონკრეტული საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა-. კურიკულუმებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - საბაზო საფეხურის ორივე საგნის (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) ჭრილში. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- ინტერვიუს დროს , საბაზო საფეხურის საზ. მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სწორედ სამივე ცოდნის კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხურის საგნობრივ (ქიმია ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმებზე დაყრდნობით იკვეთება,რომ ფაქტობრივი ცოდნის გარდა მოსწავლეს შეუძლია ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში განზოგადება. კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის გამოცდილება. სკოლა ხელს უწყობს კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას,როგორიცაა: სასკოლო კლუბები, წრეები, ექსკურსიები და სხვა.**ინდიკატორი შფასდა,როგორც ,,შესაბამისი".**

5.. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. საგნობრივი კურიკულუმები , რომლიც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა, საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. პედაგოგებმა ისაუბრეს მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგებზე დაყრდნობით, რამდენად უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალება გამოცდილების მობილიზებითა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით გამოწვევების გამკლავებას და პრობლემის გადაჭრას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა - წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერებაში ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) საბაზო საფეხურის მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიის ,სამოქალაქო განათლების, საქ. ისტორიის, ისტორიის საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხშირად ხდება საგანთა ინტეგრაციით პროექტების დაგეგმვა-განხორციელება. რაც მოითხოვს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების საჭიროებებს. კათედრას წარმოდგენილი აქვს არაერთი პროექტი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგეგმება ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები. სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მიმდინარე წელს საბაზო საფეხურის კათერდ მოსწავლის ცოდნისა და უნარების ორგანიზებას ახორციელებდა ძირითადად დაკვირვებისა და ჩანაწერების საფუძველზე. იგეგმება შეფასებისა და თვითშეფასების დღიურების გამოყენება კომპლექსური დავალებების განხორციელება/შეფასებისთვის, ასევე მოსწავლის პორტფოლიოების წარმოება, რომლის საშუალებითაც მოსწავლეც და მასწავლებელიც დაინახავს თავის შესაძლებლობებს, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- ფოკუსჯგუფთან შეხვედრის დროს წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრებები და მაგალითები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები;
- საგნობრივი(ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა)კურიკულუმები;
- ეკოკომიტეტის სამუშაო მასალები.
- VII, VIII, IX კლასის კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალების ანალიზი, თემატური დაგეგმვის მატრიცა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით აიგება ყველა კომპლექსური დავალების პირობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა- წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დაასევე წარმოდგენილი თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებითა, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი", რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-VIII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზ. მეცნიერებების კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ მე-7, მე-8 , მე -9 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით. თუმცა საკითხები და კონტექსტ მაგალითები საჭიროებს ცვლილებებს. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით. აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-საბაზო საფეხურის საგნობრივ (ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, შერჩეული საკითხები იძლევა თემის დამუშავების საშუალებას მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელწყობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- . წარმოდგენილ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩანს რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და სოციო - ემციურ განვითარებას. კომპლექსურ დავალებებში არის ზოგიერთი კითხვა რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს, სწავლის პროცესზე, მაგ: რას შეცვლიდი? რაში გამოიყენებ მიღებულ ცოდნას? რა გამოვიდა კარგად, რა არის ამის მიზეზი?... გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სწავლის პროცესში ზრუნავენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები და აქტივობები ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა, რაც ააქტიურებს სწავლის პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- -სკოლაში საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-VIII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემატური ბლოკები. თემები, კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები, აგრეთვე კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზეც. **ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ შექმნილი არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება. მაგ ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო.მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება მრავალმხმრივი აქტივობების განხორციელება,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

სახელმწიფო ენა- კათედრის მიერ შერჩეული შეფასების რუბრიკები ხაზს უსვამს, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ: ინსტრუმენტი 1. ჩანაწერების დღიური. ინსტრუმენტი 2. მოსწავლის ან წყვილის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემა. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არა მარტო ფაქტობრივ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას, კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ კიდევ უფრო ეფექტურად შეირჩევა კონკრეტული ინსტრუმენტი და კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, კონკრეტული პროცესის შესაფასებლად და აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით შედგენილი განმავითარებელი შეფასების ხუთ დონიანი რუბრიკები, რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. ასევე სკოლა ჩართულია „დაწევისა და დაჩქარების კურიკულუმის პროგრამაში“ რაც გულისხმობს მოსწავლეთა დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- სკოლის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. საბაზო საფეხურზე კათედრის მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედურ სასწავლო მიზანს. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. ინტერვიუს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებენ შეფასების ორივე ფორმას. აღნიშნული მსჯელობების საფუძველზე საბაზო საფეხურზე დასტურდება **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საგნობრივ ჯგუფთან მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში (საკუთარი თავის და თანატოლების შეფასებით), შეფასება უზრუნველყოფს მარავაფეროვანი ინტრუმენტებს გამოყნებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-. სკოლის შეფასების სისტემა მოიცავს საგნობრივი კათედრების/მასწავლებლის მიერ შედგენილ შეფასების რუბრიკებს ცალკეულ საგნებში განმავითარებელი შეფასების ფორმებს და და მეთოდებს. მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებაბის მიზნით კიდევ გადაიხედება რუბრიკები, რათა შეფასება მიმართული იყოს მის როგორც კოგნიტური, ისე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

სახელმწიფო ენა: კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ შეფასება ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ დავალების შინაარსის შეთანხმებას მოსწვალეებთან, რათა მიზნობრივად შეირჩეს ინსტრუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ერთ მხირვ საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მეორე მხრივ მოსწვალეების ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კათედრის წევრები დიდ ყურადღებას აქცევენ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდურობასა და სანდოობას, რამდენად სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აღნიშნავენ, რომ მათმა მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. მათ ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. ყველაზე მთავარი მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში, გარდა ამისა გამოკვეთენ, რომ კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შექმნისას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- შეფასების რუბრიკა შესაბამისობაშია კონკრეტულ აქტივობასთან, თემასთან და სასწავლო მიზანთან. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს რუბრიკა წინასწარ ცნობილია ყველა მოსწავლისათვის, არსებული რუბრიკები მომავალი სასწავლო წლისათვის დაიხვეწება და შეიქმნება ახალიც.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია . ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ესთეტიკა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის **ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე მოწოდებული მასალებიდან,ასევე ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა , რომ კათედრაზე შეთანხმებული და გააზრებული ხედვაა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.
კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილებები მათ დაეხმარება ახალი სასწავლო წლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს მოხდა გაზიარება რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიზნით მოსწავლეებსაც ჩართავდნენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-.კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (ჰოლისტური) შესაბამისობაშია კონკრეტულ აქტივობასთან, თემასთან და სასწავლო მიზანთან. შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ნათლად და ასახავს შედეგის მიღწევის დონეს. შფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია ყველა მოსწავლისათვის. შეიქიმნება ახალი ანალიტიკური რუბრიკები,რომელიც საშუალებას მისცემს სკოლას პროცესი გახადოს უფრო მეტად ვალიდური,სანდო,ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5.. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

სახელმწიფო ენა- კათედრაზე შემუშავებული შიდა ვერიფიკაციის სისტემა გულისხმობს რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრები , ეწყობა სასკოლა ნამუშევართა გამოფენები. მომავალი სასწავლო წლისთვის წარმოსადგენი შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემა შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; ამ დისკუსიების შედეგად ხდება შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა). მომავალი სასწავლო წლისათვის იგეგმება აღნიშნული სისტემის გაუმჯობესება..**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

უცხოური ენა- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპისათვის, ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი არ აქვთ შემუშავებული, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას გააზრებული აქვს ვერიფიკაციის ის მექანიზმი, რაც სკოლაში/კათედრაზე ამოქმედდება მომდევნო სასწავლო წლიდან**. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი

ესთეტიკა ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ იმ გამოცდილებისა და კომპეტენციის საფუძველზე, რაც აქვთ. გამოთქვამენ მზაობას 2023-2024 სასწავლო წლისთვის უფრო მეტად გაერკვნენ საკითხის არსში და იმოქმედონ სკოლის საერთო ინტერესის გათვალისწინებით. კათედრის მზაობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კატედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომაქტივობების შეფასებისას იყენებდნენ ჩანაწერებს და დაკვირვების ცხრილებს. საბაზო საფეხურის საგნობრივი შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება ვერიფიკაციის მექანიზმს. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება აღნიშნული სისტემის გაუმჯობესება და გადასინჯული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა. მოსწავლეები წინასწარ გაეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს და დავალების შესრულებისათვის განკუთვნილ ვადებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6, **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სახელმწიფო ენა- სკოლაში დაცულია ჟურნალი ხუთი წლის ვადით, მოსწავლეთა პირადი საქმეები, შემაჯამებლები ერთი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- საბაზო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები.
- შფასების რუბრიკები
- სკოლის თვითშფასების კითხვარი.
- VII, VIII, IX კლასის კურიკულუმები ; კომპლექსური დავალების ბარათები. განმსაზღვრელი და განმავითარებებლი შეფასების რუბრიკა. თემატური ერთეულის მატრიცა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. ჰომპლექსური დავალების ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

სახელმწიფო ენა- სკოლამ წარმოდგინა სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. დოკუმენტში წარმოდგენილია პუნქტები და მასში გაწერილი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. მაგ: იკითხება, რომ სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის.კათედრის წევრები, აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი, ის უკავშირდება გამომხატველობის შესაძლებლობას და ქმნის ნაყოფიერ სივრცეს თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმები და ანგარიშის ფორმები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მეთოდოლოგიურ დანართში წარმოდგენილი იქნება კონკრეტული საკითხები, პროცესები, რომლებიც გახდება განხილვის, შეფასების, ანალიზის საგანი და დაკონკრეტდება პრაქტიკული თვალსაზრისით სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები/ გაკეთებული დასკვნები. შეფასების ინსტრუმენტი წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- წარმოდგენილ კურიკულუმებში ყურადღება მახვილდება ისეთ სასწავლო გარემოზე, სადაც მოსწავლე გრძნობს თავს დაცულათ და მისი ცოდნა და უნარები ვითარდება ეტაპობრივად, ასევე სასწავლო მასალა მოსწავლეებს მიეწოდებათ დონის შესაბამისად. სკოლა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სასწავლო პროცესში შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. ამ ნაწილის დამადასტურებელია ის ანალიზი რაც წინა კრიტერიუმების აღწერით შეფასებაშია მოცემული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა- საბაზო საფეხურზე ესთეტიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის თვითშეფასების ფორმით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლა ზრუნავს რათა შექმნას ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინდივიდუალურად ზრუნავენ და ეხმარებიან მოსწავლეებს, აქტიურად უსმენს მათ, ითვალისწინებენ შეხედულებებსა და ინტერესებს, უმაღლებენ შესაძლებლობების რწმენას. მშობელთა ნაწილი ჩართულია შვილის სასკოლო ცხოვრებაში, ეხმარება საშინაო დავალებების/კომპლექსური დავალების შესრულებისას. თანაკლასელები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა მიმართულებით, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობით ძლევენ ისეთი დავალებებს, რომლის ინდივიდუალურად შესრულებაც უჭირთ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

.2.. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

.

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის / გზის შესაქმნელად, რომელიც შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. მოსწავლეთა საჭიროებებისა და პროგრესის მონიტორინგისთვის ტექნოლოგიები, როგორც წესი, მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან მას შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს უკეთ ადევნოს თვალი სწვალის პროცესს. მასწავლებლის მიერ უნდა ხდებოდეს პერიოდული გამოკითხვები, დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად მის მიერ შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ისე დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროება. ეს უნდა აისახოს, როგორც საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ასევე საჭიროების შემთხვევაში მის ცვლილებაშიც. კათედრის წევრები თანხმდებიან, რომ კლასის მართვის სტრატეგიებს, ერთობლივად შემუშავებულ მექანიზმებს, რომლებიც გამოკვეთს მოსწავლეთა საჭიროებებს, მშობლებთან კომუნიკაციის ფორმებს ასახავენ მეთოდოლოგიურ დანართში, კონკრეტულად როგორ, რა საშუალებებით აპირებენ ამ პროცესების წარმართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- თითოეული მოსწავლის ჩართულობისა და დიფერენცირებული სასწავლო პროცესის ხელშესაწყობად სკოლა მუშაობს მომდემო სასწავლო წლის კურიკულუმზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მზაობა და ის უნარები რომელიც მათ შეიძინენ სასწავლო პროცესში, ამასთან ყურადღება მიექცევა ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. ამ ნაწილის დამადასტურებელია ის ანალიზი რაც წინა კრიტერიუმების აღწერით შეფასებაშია მოცემული.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ასევე თავისთავში მოიაზრებს, განმავითარებელ შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მოთხოვნილებები. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მამოტივირებელ მრავალფეროვან რესურსებს, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დროს თანამშრომლობენ მოსწავლეებთან, აზუსტებენ დავალების პირობას, აკვირდებიან და ინიშნავსენ ვის რა უძნელდება სწავლა-სწავლების პროცესში; საჭიროებისამებრ, სთავაზობენ მოსწავლეებს დამატებით, დამხმარე აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ რომ ხშირია კათედრაზე წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებული მუშაობა, ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. კათედრის ყველა წევრი თანხმდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელსაც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. კათედრის წევრები აღნიშნავენ, ერთობლივად მუშაობის მექანიზმს წარმოადგენენ მეთოდოლოგიურ დანართში. ამ ეტაპზე აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად გვიზიარებენ კათედრის ოქმებსა და ანგარიშის ფორმებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა სკოლაში აქტიურად ხდება შეხედულების, მოსაზრებების აქტიური გაცვლა რაც მიუთითებს თანამშრომლობითი გარემოს არსებობაზე, ამასთან ინტერვიუს დროს კარგად შედგა კომუნიკაცია. რაც მიმღებლობასა და სასწავლო პროცესის კოლეგიარულ გარემოში წარმართვას ასაბუთებს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმის შემუშავების თუ იმპლემენტაციისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების აზრსა და შესაძლებლობებს, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას აანალიზებენ კოლეგების მზაობას ამ დავალებების განსახორციელებლად. Ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. კოლეგებია ერთად აკერებენ და ირჩევემ იმ თემებსა და საკითხებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ და მეტად ეფექტურად მიაღწიონ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგებს. ასევე, კოლეგები ერთობლივად თანხმდებიან ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება ხება გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. ყოველივე ეს კი ადასტურებს, თანამშრომლობითი კულტუროს ტრადიციას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტ ული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას, სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლა ჩართულია სხვადსხვა პროექტში, ხდება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- კათედრასთან შეხვედრისას გამოიკვეთა რომ წევრები მჭიდრო ურთიერთანამშრომლობენ ერთმანეთთან. იცნობდნენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა სახის პროექტები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სკოლაში მკვიდრდება ურთიერთსწავლებაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობეს მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებული პრობლემების დადგენისა და მოგვარების მიზნით. იგეგმება პედაგოგიური კვლევების განხორციელება და კოლეგებისათვის გაზიარება. „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის რეალური ამოქმედება, მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. კათედრაზე მოხდება განხორციელებული კომპლექსური დავალებების განხილვა, ანალიზი, შეფასება და ინტერვენციების დაგეგმვა,გაგრძელდება საბუნებისმეტყველო კათედრის ტანამშრომლობა ეკოკომიტეტის ფარგლებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა მათი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტებია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კათედრაზე არის მუშა პროცესი, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , ისინი კვლავ აპირებენ სასკოლო კურიკულუმების გადახედვას და დახვეწას რომელიც უფრო კარგად წარმოაჩენს კლასის მიღწევის დონეს და მოსწავლის განვითარების გზას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- როგორც კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოა. რაც შეეხება ფიზიკურ გარემოს, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს საკლასო ოთახები ფიზიკურად იძლევა საშუალებას ავეჯი განლაგდეს აქტივობების შესაბამისად რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის ეფექტურობა და მოსწავლეების აქტივობებში ჩართვის მოტივაცია.. გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა . ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე, სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს .
ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
ესთეტიკა მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში არის პოზიტიური გარემო. დერეფნები და საკლასო ოთახები გამოიყურება მიმზიდველად. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ შემოქმედებითი უნარები - გამოფინონ და დაათვალიერონ ნამუშევრები. საკლასო ოთახები ფიზიკურად იძლევა საშუალებას, ავეჯი განლაგდეს აქტივობების შესაბამისად. გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- სასწავლო გეგმის პროექტები
- კათედრის შეხვედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშის ფორმები
- სასკოლო პროექტები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- მასწავლებლებთან ინტერვიუები
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- კათედრების ანგარიშის ფორმა
- .დანართი 22, დანართი 26, გასაუბრება მასწავლებლებთან, წარმოდგენილი მოსწავლეთა ნამუშევრები .

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. იმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები თანხმდებიან, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური ჩარჩოს/გეგმის შემუშავება, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ცალსახად გამოკვეთს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებსათვის. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს სარეკომენდაციო მასალებიდან და წარმოადგენს მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება სამომავლო გეგმაა სკოლისათვის, ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ ჩარჩო/გეგმას, რის საფუძველმეც სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება პროცესების მონიტორინგი, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპი, მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ინ**დიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია I. ინსტრუმენტი.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა, მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, უნდა გაითვალისწინონ ის ცოდნა და უნარები, პიროვნული მახასიათებლები, საჭიროებები, მოსწავლის ძლიერი თუ სუსტი მხარეები, რათა მოსწავლეს დ მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები გადაიხედება და შემუშავდება მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2.. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

სახელმწიფო ენა- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დამუშავების ეტაპზეა. სამომავლოდ აისახება თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ამ ეტაპზე სკოლა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში, კონკრეტული მექანიზმი წარმოდგენილი იქნება სექტემბრამდე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

მათემატიკა- სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება სამომავლო გეგმაა სკოლისათვის, ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. პათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლოსაზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ, პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - ესთეტიკის კათედრაზე მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად ,,კრიტიკული მეგობრის“ სახით ესწრებიან ერთმანეთს, კომპლექსურ დავალებებთან მიმართებაში გეგმავენ აქტივობებს და უზიარებენ ერთმანეთს გაკვეთილებზე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და მხარდაჭერის და პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის მიზნით გეგმავს თემატური ერთეულების გავლის შემდეგ სადიაგნოსტიკო ინსტუმენტებიდან დანერგოს ერთ-ერთი და აღიშნულის საფუძველზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინოს საჭიროება სად სჭირდება მოსწავლეს დახმარება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შესაბამისი“.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს,რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3... **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სახელმწიფო ენა- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად გამოსაყენებელი ინსტრუმენტი შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება კათედრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული მონიტორინგით და შეფასებით განსაზღვრეს მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლაში გამოკვეთილი სასკოლო საზოგადოების საჭიროებების და პრობლემების გადაჭრის გზები. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა- კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს სადიაგნოსტიკო სეფასება. შერჩეული ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს გამოკვეთონ პრობლემა, ამ პრობლემაზე დააფიქრონ მოსწავლეები და მატთან ერთად დაგეგმონ გამოსავლის გზები. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეულისადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლოსაზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი-.სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, შეიმუშავებს კურიკულუმზე მუშაობის კითხვარს, სადაც სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა,რასაც ასახავენ ცვლილებების სახით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაკვეტაძე

მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. ასევე პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მ,ეცნიერებები- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს,რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- კონკრეტული მაგალითები წინარე გამოცდილებიდან.;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნისნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებული მონაცემთა შეგროვების მექანიზმები/ ინსტრუმენტები, წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, რომელიც შემუშავების პროცესშია, ამ ეტაპზე მათი ხედვა წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ცალკეული შეფასების რუბრიკით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კათედრას აქვს მზაობა, შეფასებისას დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს, სასკოლო საზოგადოებას, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან აისახება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი** .

უცხოური ენა- გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდებასხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესშიაქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირიასწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებსრეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას არა მარტო პროცენტულად რამდენიმოსწავლე რა შედეგზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვსდასკვნები, თუ რომელ საკითხს/აქტივობას გაართვეს კარგად თავი მოსწავლეებმა დარომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციისსაშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლიამოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებსსტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-.საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - კათედრას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, სადაც სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდება პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას , სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, რომელსაც მოიპოვებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ეს შეიძლება იყოს მატერიალური, სტატისტიკური, ფინანსური და სხვა რესურსი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც მაგ. ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, საჭიროებები, მოსწავლის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ მოსწავლეების შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, შესაბამისი აქტივობების გამოყენებით. ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**;

სახელმწიფო ენა- საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას ერთ-ერთი მიზანია მასწავლებელმა შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, იდეა, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მექანიზმი შემუშავების ეტაპზეა, შესაძლოა კათედრამ შეარჩიოს შეთავაზებული სარეკომენდაციო ინსტრუმენტებიდან და წარმოდგინოს მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ანალიზის საფუძველზე, ადაპტირებული კომპლექსური დავალებების , მოსწავლეთა ნამუშევრების და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით, შეიძლება დავასკვნა რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა- სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულიშეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებასმოსწავლე არფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვაბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვასტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელსუწყობს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასებაეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები. სასწავლო პროცესში მიცემული შეფასება არის ყოვლისმომცველი და ამომწურავია. შეფასებახდება სისტემატიურად, სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელიშეფასება. კათედრის მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასებისკრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები. ამასთანავე, ფასდება საკლასო, დამოუკიდებელი და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. ხოლო კომპლექსურიდავალებების შეფასება ხდება სოლო-ტაქსონომიის მეშვეობით, ინდივიდუალურად მათი ცოდნისადა შესაძლებლობების შესაბამისად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტითგათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - სკოლას აქვს გამოცდილება შეისწავლოს მოსწავლე სხვადასხვა კონტექსტში, რათა შეფასების დროს რეალურად დაინახოს მიღწევები და გამოწვევები. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასების მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრავს საჭიროებებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით. რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ სამუშაო და გასაუმჯობესებელი. სწორედ ამ მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და წინაპირობასა გათვალისწინებით., რაც საშუალებას აძლევთ მოხდეს მოსწავლის მრავალიმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება,. . მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გააუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას სწორად იყოს შერჩეული კვლევის მეთოდები, გაგებული უნდა იყოს როგორც სკოლის, მასწავლებლის, თუ სხვა დამგეგმავის სტრატეგიები დასვას კითხვები, შეიმუშავოს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაგვეხმარება სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწვალის მიღწევის გამუჯობესებაში. ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება უახლოეს პერიოდში ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა- ამ ეტაპზე სკოლაში დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენება დაკვირვება და ზეპირი გამოკითხვა, სექტემბრიდან იგეგმება დაკვირვების დღიურების წარმოება და შესაბამისად შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა- როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობსურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების, მოსწავლეებთან საშინაოდავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოსშესრულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხითსამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობაკვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებსსტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი- სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები, როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი, რომლის საფუძველზეც მოხდება ინფორმაციის დამუშავება, დახარისხება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასებისას იყენებს სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავს მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. ასევე 2023 -2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალებების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება შესრულებული დავალების შემოწმებისა და დაკვირვების გზით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული როგორც კონკრეტულ თემაზე მორგებული, ასევე ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა დისკუსია,პრეზენტაცია,ექსპერიმენტი და სხვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4.. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სახელმწიფო ენა- კათედრი წევრები აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტიფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზსს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, მასწავლებლები საუბარში გამოკვეთენ, რომ აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ერთობლივად შემუშავებული მიდგომები, რომლებიც მათი თქმით წინარე გამოცდილების ანალიზსს დაეყრდნობა, აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა- კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულშედეგებს და არა პიროვნულად მოსწავლეს. ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურმდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. ი**ნდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ, როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც - მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - სკოლა გამოთქვამს მზაობას ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-- კათედრა საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასების დროს ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობები, სასკოლო მზაობა, საჭიროებები და ა.შ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია;
- ცალკეული შეფასების რუბრიკები;
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი.
- კომპლექსური დავალების ანალიზი, კომპლექსური დავალების ბარათები, მასწავლებელთა გამოკითხვა.

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული მიზნები, პროცესები- გაუმჯობესებული თუ არა. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივის შეფასებისას. კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-სკოლას ამ ეტაპზე სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შემუშავებული არა აქვს, მაგრამ ხდება კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ და შედეგად ახალი სასწავლო წლისთვის შეიქმნება აღნიშნული დოკუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. რჩევა სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოვოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა, ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა - კათედრაზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლის კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმაში ასახავს და გამოკვეთს პრიორიტეტებს, დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს სკოლის მზაობას და გამოცდილებას, ძლიერ და სუსტ მხარეებს. . კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ კათედრა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. სკოლა შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, სადაც თვითრეფლექსიის საფუძველზე დაგეგმავს ახალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-პედაგოგემა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სასწავლო გარემოს, გამოყენებული სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების საფუძველზე. გაკვეთილის ჩატარების შემდეგ ,მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას.კათედრაზე შეფასების ჯგუფი გასცემს რეკომენდაციებს ინტერვენციების შესახებ.სამომავლოდ იგეგმება შეიქმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომელიც იქნება საფუძველი გადამუშავებული ვერსიის შქმნისათვის.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სახელმწიფო ენა- კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სრულყოფილად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ნაწილობრივ ასახულია კიდევაც. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას მეტნაკლებად გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. შესაბამისად კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა, არამედ კათედრისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა, ვინც მონაწილეობა მიიღო კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთიდაიმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, დანერგვის პროცესის შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტები წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია/გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს; მიმდინარე სასწავლო წელს შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების ოთხი ინსტრუმენტიდან ააირჩიეს მეორე და მესამე ინსტრუმენტები, რის საფუძველზეც შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა- კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებითიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, მონიტორინდის დაშეფასების შედეგებს არსებული კურიკულუმების მოთხოვნილებისამებრ, აკეთებენთვითშეფასებას და მის საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურიათუნდაც გადამუშავებული წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.ი**ნდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი- სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას -კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას. ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკა კათედრა მონიტორინგის პროცესში შეგროვებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მოახდენს პრობლემების, გამოწვევების გამოკვეთას/გამოვლენას, რეკომენდაციების შემუშავებას, რასაც ასახავენ მოდევნო წლის კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის, ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული.ასევე აღსაღნიშნავია სამოქალაქო განათლების ფარგლებში სწორედ ძველი სასწავლო წლის კურიკულუმზე დაფუძნებით შეიქმნა ახალი სადაც სწავლის პროცესი მიემართება კომლექსურიდან კომპლექსურისკენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია/გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს; მიმდინარე სასწავლო წელს შემოთვაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების ოთხი ინსტრუმენტიდან შერჩეულია მეორე და მესამე ინსტრუმენტები, რის საფუძველზეც შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია..**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ფოკუსჯგუფთან მუშაობის დროს მოპოვებული ინფორმაცია.;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- წლიური სამოქმედო გეგმა, მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

დანართი №2

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენა -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა შესაძლებლობას სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია) ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც უნდა აისახოს როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, დამუშავების ეტაპზეა, მაგრამ წარმოდგენილია ცალკეული დოკუმენტები, ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმა, სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და მათი გათვალისწინების ფაქტზე . სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნული საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები, კათედრის ფუნქციები, დამრიგებელთა მუშაობის პრინციპები, კათედრის ანგარიშებში ასახული აქტივობების ანალიზი ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა-სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; როგორც კურიკულუმის ანალიზიდან ჩანს სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზნის მისაღწევად უპირატესობა ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. **წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ რომ კურიკულუმის შედგენაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა - კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ შინაარსობივად და ტექნიკურად შემუშავებული სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთანა და საკითხებთან. თუმცა, მხოლოდ დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე რთულია ამ მიმართულების სტანდარტთან ცხადი შესაბამისობების დადგენა, ძირთადი ფოკუსი გადავიდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე, რამაც შესაძლებელი გახადა არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. ინტერვიუს შედგედ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას **გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საგანში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი,რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს **კოლეგების შესაძლებლობები,** რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. რაც შეეხება, **მშობლებს**, მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა **სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან** რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი **პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

დასტურდება (მტკიცებულებები): **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ნათლად ჩანდა თუმცა ინტერვიუს დროს, აღნიშნეს, პედაგოგებმა, რომ სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ კურიკულუმებს. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. (შობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, დირექცია).**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები- სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწვალეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება); ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საშუალო საფეხურის საგნობრივი(ქიმი, ბიოლოგია, ფიზიკა) კურიკულუმები შემუშავდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად, მეტწილად მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე სკოლამ წარმოდგინა მხოლოდ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის ჩარჩო. 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერსებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ამისათვის საბაზო საფეხურის კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში შეხვდება მშობლებს, მოუწოდებს მათ სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაში ჩართულობისა და თანამშრომლობისკენ, გააცნობს მათ თავიანთ უფლებებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობებს. იგეგმება მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვა მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასათვალისწინებლად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების ეს ნაწილი ეცნობა კურიკულუმებს და იწონებს მათ. შესაბამისად, სკოლა ამ კრიტერიუმში შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სახელმწიფო ენა= სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში წარმოჩენილია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები (სკოლის საშუალო საფეხურის მისიის, კათედრის და დამრიგებლის მუშაობის, ინკლუზიური განათლების პრინციპების სახით) ,რომელიც მჭიდრო კავშირშია დაგეგმილ კურიკულუმებთან. შუალედური მიზნები იმგვარადაა შერჩეული, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. სასწავლო მასალა და კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საკითხების სიღმისეულად შესწავლას, ჩართულობისა და მოტივაციის ზრდას, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახლის კონსტრუირებას და ამავე დროს ითვალისწინებს ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- წარმოდგენილი კურიკულუმები **ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს,** სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმები განხილულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

უცხოური ენა - კურიკულუმის შემუშავების პირველ ინდიკატორში განხილული მეთოდოლოგია იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავალებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი - შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო თემებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლა ორიენტირებულია განვითარებაზე, სასკოლო საზოგადოება მზად არის ცვლილებები შეიტანოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზი, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური განათლება სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესებია კურიკულუმში ასახული. რაც საზ. მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებული იქნება მათი მხრიდან სასკოლო კურიკულუმების ჩამოყალიბებისას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - მიმდინარე სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში (ქიმია,ბიოლოგია ფიზიკა) სასკოლო საზოგადოების ინტერესები მეტწილად ასახულია მასწავლებელთა პირად დაკვირვებასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნის მასწავლებლები დამრიგებლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ დაგეგმილ ღონისძიებებს, ასევე რთავენ მოსწავლეებს ოლიმპიადებსა და კლუბებში. ამ მიმართულების გასაუმჯობესებლად დირექციასთან შეთანხმებით 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება მშობელთა და მოსწავლეთა წერილობითი გამოკითხვა. ამგვარად მიღებული უკუკავშირის საშუალებით გამოავლენენ როგორც მოსწავლეთა, ასევე მშობელთა ინტერესებს და შესაბამისად ასახავენ მათ სასკოლო კურიკულუმში**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა საზოგადოების სხვა წევრების მათ შორის მშობელთა ინტერესები. კერძოდ, ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით, სადაც ჩანს რომ სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად გატანილია კურიკულუმის გაცნობა. შესაბამისად, სკოლა შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სახელმწიფო ენა - დოკუმენტებში ჩანს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება (მოსწავლეთა ჩართულობა, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, კავშირი სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან). კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ კათედრის წევრები. როგორც გასაუბრებაზე აღნიშნეს, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე , მოსწავლეთა ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა- კურიკულუმის შემუშავების პროცესში როგორც გამოიკვეთა ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, კათედრები და დაინტერესებული პირები. რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას რომ **კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოებამ. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა - წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და კათედრის წევრებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი. კერძოდ, შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს საგანში მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი,რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსა თუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მოსწავლეებისათვის საინტერესო შინაარსები რათა მეტად მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმის შემუშავებისას, მასწავლებლებმა გაითვალისწინეს კოლეგების შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას გააანალიზეს კოლეგების მზაობა ამ დავალებების განსახორციელებლად. გაითვალისწინეს ის, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი ყოფილიყო თავად მასწავლებლებისათვისაც რათა ამ პროცესში არ დაზარალებულიყო მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. ამ ანალიზზე დაყრდნობით მათ გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე, სრულად კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირებული არ ყოფილიყო მათი კურიკულუმები. ამასთან ერთად, თემებისა და საკითხების შერჩევისას, გარდა მოსწავლეებთან კომუნიკაციისა, კოლეგებმა ერთად შეაჯერეს და აირჩიეს ის თემები და საკითხები, რაც შესაძლებლობას მისცემდა უკეთ და მეტად ეფექტურად მიეღწიათ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგები. ასევე, ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება მოხდა გონივრულად, თანაბრად და ეფექტურად. რაც შეეხება, მშობლებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ თითოეული საფეხურისა თუ შესაბამისი კლასის კურიკულუმებისათვის გაამზადეს დავალებების ბარათები მშობლებისათვის, რათა მეტად ინკლუზიურები ყოფილიყვნენ მშობლები სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმის შემუშავებისას კათედრას კომუნიკაცია ჰქონდა სხვა კათედრების/საგნების მასწავლებლებთან რაც გამოიხატა იმაში, რომ თემების შერჩევისას გადაამოწმეს ხომ არ იყო რაიმე პრიორიტეტული თემა სხვა საგნებში, რომლის დაფარვაც სასურველი იქნებოდა უცხო ენების შემთხვევაში და რაც დაეხმარებოდა მოსწავლეს ამ თემის სიღრმისეულად გაგებაში და გაპერსონალებაში. გარადა ამისა, სხვა კათედრებთან ჰქონდათ კომუნიკაცია კომპლექსური დავაელებების რაოდენობების შესახებ, რათა დაბალანსებული ყოფილიყო კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების რაოდენობა. ამ მთლიანი პროცესის თანამონაწილე/მრჩეველი იყო სკოლის დირექცია/დირექტორის მოადგილე, რომელიც რჩევას და მონიტორინგს უწევდა კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რათა ეს პროცესი და შესაბამისად, შედგეგი სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი - ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები -კურიკულუმის შემუშავების პროცესში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი შექმნიალია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, რაც აღნიშნულია კიდეც თვითშეფასების კითხვარში. სკოლა დაეყრდნობა ჩატარებულ კვლევას და ამის მიხედვით განსაზღვრავს კურიკულუმის შინაარსს, მაგრამ, აუცილებლად საჭირო იქნება დამატებითი აქტივობების დაგეგმვა სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩასართველადაც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ მიმდინარე სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავდა მეტწილად მასწავლებლების მიერ მოსწავლეებთან და მშობლებთან ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე. სკოლა სამომავლოდ (2023-2024 სასწავლო წლისათვის) გეგმავს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვას,რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მათი შესაძლებლობები და ინტერესები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) კურიკულუმები შემუშავებულია და განხილულია ესთეტიკის კათედრაზე და მის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრების აზრია გათვალისწინებული, რაც დასტურდება სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით და პედაგოგებთან ინდივიდუალური ინტერვიუებით, შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4.ურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სახელმწიფო ენა: სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის მაგ: საგნობრივი პროგრამები, დანართები კომპლექსური დავალებების სახით, სასწავლო რესურსები). თანამშრომლით ურთიერთობასა და გაზიარების ფაქტზე მეტყველებს კათედრის შეხვედრის ოქმებიც.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- კურიკულუმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელ დოკუმენტებში ჩანს, რომ კურიკულუმი **გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა
როგორც ინტერვიუს პროცესში გმოიკვეთა, საგნის სამივე საფეხურის ახლად შემუშავებული კურიკულუმი 'გაზიარებული იქნება სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში კურიკულუმსა და კომპლექსური დავალებების ბარათებს მშობლებს გააცნობენ მშობელთა კრებაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით კონფერენციების გამართვით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტები, სოციალური მედია და ა.შ. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვითაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ კურიკულუმების განხორციელების პროცესში პარალელური კლასის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ პირად გამოცდილებას. .კომპლექსურ დავალების პირობა, თავის მისაღწევი შედეგებით მშობლებს უზიარდებათ ბარათების სახით. 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმევება სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობით მშობლებთან პირისპირ შეხვედრები, რათა უფრო მეტად მოხდეს მათი ინფორმირება და გათვიცნობიერება. ასევე, შესაძლებელია, გამოიყენონ ერთეული მასწავლებლების გამოცდილება ელექტრონული პორთფოლიოების-ბლოგების წარმოების შესახებ. სადაც შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმების გაზიარება და ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შესაბამისად, შესაბამისად, სკოლა შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 10-12 კლასის კურიკულუმები;
- კათედრის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კათედრის ანგარიშები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები;
- სკოლის თვითშფასების კითხვარი;
- პათედრის ოქმი.

1.1.2. კური

კულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენა

შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გბელვადიან მიზნებზე . შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება იმგვარი შინაარსის კომპლექსურ დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლეს მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას (მაგ. მიზეზ-შედეგობრივი ესე, ანალიტიკური ესე, , პერსონაჟების შედარებითი დახასიათება,...) , ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს მე-10, მე-12 კლასის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების საწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამები ანალიზი იძლევა შესაძლებელობას დავასკვნათ, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. ცხადია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის პიროვნული განვითარებაც. სრულყოფილად და გასაგებადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ მე -10 კლასის ფარგლებში მომზადებული კურიკულუმები: ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფიისა და მოქალქეობის მიმართულებები , ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის სავალდებულო თემებში არსებული საკითხები,თავისი რესურსებით, რომელიც უნდა დამუშავდეს კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. კურიკულუმში სექტემბრამდე გასაწერია კომლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი,შედარებითი მაგალითი . მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხების, ქვესაკითხების ერთმანეთთან ურთიერთმიმართების არსი. რომლებიც აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების მთლიანობაში წარმოჩენას, რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. (მტკიცებულება _სამოქალაქო განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმი) საქ. ისტორიის, ისტორისა კურიკულუმებში სექტემბრამდე გასაწერია კომპლექსური დავალებების იდეა, ძირითადი კონტექსტ მაგალითები თავისი შედარების მაგალითებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, გააანალიზონ განვლილი გზა და დაგეგმონ პროცესი მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა -საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულო პროექტების სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მტკიცებულებების სახით აქვს წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები და ასევე პროექტის გეგმა. 2023-2024 სასწავლო წელს მოაზრებული პროექტის იდეა. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლიდან ხელოვნებასა და მუსიკაში პროექტებს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე აირჩევენ და გაწერენ კურიკულუმის ჩარჩოში. სკოლა ჩართულია პროექტში კულტურული მემკვიდრეობა, რომლის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნა მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი იქნა მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექსტებსა და პირად გამოცდილებაზე. ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენა

შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე , წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ასრულებს შუალუდური მიზნების როლს და ემსახურება საფეხურის სამიზნე ცნებების (ჟანრი,კომპოზიცია, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები, კონტექსტი, გრამატიკა, საკომუნიკაციოო სიტუაცია) მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებას. კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მათი განხორციელებისას აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა) გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ მასალაზე დაყრდნობით მომზადდა და დაიწყო ძალიან საინტერესო მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტი, რომელიც პირდაპირ არის ორიენტირებული ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე , ასევე სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებაზე და ითვალისწინებს თანამედროვე მოზარდის ინტერესებსა და საჭიროებებს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „დისტანციური სწავლება “, “კოსმიური ქალაქები” მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი

უცხოური ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები; **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სამოქალაქო განათლების მიმართულებით, როგორც შიდა ისე საერთაშორისო მიმართულებით. მოცემული პროგრამები და სახის ღონისძიებები, ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე სასწავლო წლის საშუალო საფეხურის საგნობრივი(ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) კურიკულუმები მეტწილად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ფუნქციურ უნარებს. თუმცა პრაქტიკამ აჩვენათ, რომ არსებული კურიკულუმები დასახვეწია. ამ ეტაპისთვის მასწავლებლები საგნობრივი ქოუჩების მიერ ორგანიზებული ტრენინგებითა და კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობით უფრო მეტად გარკვეული არიან ამ მიმართულებით. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა. გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად განახორციელებენ დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებს და დანერგავენ მისი მიღწევის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმზე დაყრდნობით საგანში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , პროექტის ტიპების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. საშუალო საფეხურის 9სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, პირველ და მეორე სემესტრში მუშავდება თითო-თითო პროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა. რაც შეეხება ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილ უზუსტობებს კათედრამ ინტერვიუს შემდეგ გადმოაგზავნა შესწორებული ჩარჩო, რის საფუძველზეც შესაძლებელია, დავასკვნათ რომ საშუალო საფეხურზე, (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;.

სახელმწიფო ენა - სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, შესაძლებლობებს და პოტენციალს, ორიენტირებულია მოსწავლეთა მიღწევების აღწერაზე და არა ხარვეზების მარკირებაზე. კათედრა აანალიზებს გასული სასწავლო წლის შედეგებს , იყენებს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს: გასასვლელ ბარათებსა და თვითშეფასების კითხვარებს მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების დასადგენად, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსაკვეთად. სწორედ გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე გარკვეულწილად შეიცვალა სასკოლო კურიკულუმი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალება მოსწავლეს აძლევს საშუალებას აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა. კერძოდ, მე-10 კლასის კურიკულუმს დანართად ახლავს კომპლექსური დავალების ბარათი , სადაც მოსწავლეებს აქვთ მითითებული რომ დავალება წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით, . რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია.
ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი

უცხოური ენა
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე არის დაგეგმილი. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, რადგან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე და ინდ. გეგმებზე მუშაობის გამოცდილება.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ვახტანგ პაპუნიზის სახელობას დაბა ქედის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერბების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას არ ჩანდა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გათვალისწინება, მაგრამ ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ამ კუთხით ინფორმირებულნი არიან, აღნიშნეს, რომ აქვთ ამ ტიპის გამოცდილება.

მაგალითად, ერთ-ერთ მოსწავლეს არ აქვს სტატუსი, მაგრამ სჭირდება დავალებების დიფერენცირება. ასეთ მოსწავლესთან არჩევენ შესაბამის აქტივობებს, ამცირებს შეკითხვების რაოდენობასა და შინაარსს, სთავაზობს სხვადასხვა სახის რესურსებს; გარდა ამისა, სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებული აქვთ ინდ გეგმები, რომელთა დახვეწასა და სრულყოფასაც გეგმავენ სექტემბრისთვის, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლაში ფიზიკური ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლებისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები.კათედრამ მტკიცებულებების სახით წარმოქდგინა ადაპრირებული კომპლექსური დავალებები, შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით(ქიმია,ფიზიკა,ბიოლოგია).სკოლა ფლობს მრავალფეროვან მატერიალურ რესურს,რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებას.პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ ამ მიმართულებით გეგმავენ ამგვარი მიდგომების გასაუმჯობესებელი მექანიზმების შემუშავებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა - საშუალო საფეხურის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, დაგეგმილია პროექტული ტიპის დავალებები, შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. პროექტების იდეიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სავალდებულო პროექტებზე მუშაობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ პროექტის აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში დამტკიცებულია საგნობრივი პროგრამების მეთოდიკური ორიენტირები. მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შინაარსი. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სთავაზობენ მოსწავლეებს სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვან მეთოდებს (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას) მასწავლებლებმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს მრავალფეროვანი რესურსები, რაც მაძლევს იმის საფუძველს, რომ მათ მიერ გაზიარებული გამოცდილება და დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენა

დოკუმენტებში წარმოდგენილია ზოგადი რუბრიკები ტიპობრივი დავალებებისთვის , მაგ. პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, დისუსიის შეფასების რუბრიკა, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები რეფერატისთვის, სინთეზური და ანალიტიკური ესესთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი , აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შემუშავდება განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელზე დაყრდნობითაც განმავითარებელ უკუკავშირს მისცემენ მოსწავლეებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედგენილია სოლო ტაქსონომიის დონეების მიხედვით. (10 კლასი) ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით. შეფასების რუბრიკები ზოგად წარმოდგენას ქმნის სკოლის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. შეფასების ორივე ტიპი ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ ასევე გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში არ გვხვდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ახალი მოთხოვნებით შექმნლი ნიმუშები, თუმცაღა სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის ავტორიზაციის ეტაპამდე შემუშავებული და გამოყენებული ორივე ტიპის რუბრიკები. წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში კი ასახულია თემის ფარგლებში გასავლელი პროცესი და კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და გაწერილია ერთი თემისთვის. კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნათელი გახდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება აწარმოონ მკაფიო, ცალსახად გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებზე დაფუძნებით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები - საზ. მეცნიერებების კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისთვის შეერჩია I მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკა: დისკუსიის, ჩართულობის, პროექტის შეფასების, პრეზენტაციის დაა.შ. თუმცა არ არის განმავითარებელი შფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შექმნიან როგორც განმავითარებელ ისე განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე იქნება ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიის საფუძველზე,რისი საშუალებითაც დგინდება მოსწავლეთა მიღწევები და საჭიროებები.მოსწავლეები მუდმივად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, ძირითადად ზეპირსიტყვიერად. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების გამოყენებით (ძირითადად წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები) ადგენენ მოსწავლის მიღწევის დონეს. გლობალური უნარ-ჩვევების შესაფასებლად გამოიყენება ჯგუფური მუშაობის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, დისკუსიის, კვლევის და ა.შ ჰოლისტური რუბრიკები. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების ანალიტიკური რუბრიკების შექმნას შესასწავლ საკითხებთან მიმართებით. ასევე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების რევიზიას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა -მტკიცებულებების სახით საშუალო საფეხურზე სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მათ საფუძველზე შესაძლებელია მსჯელობა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტების შეფასება ხდება ზეპირი ან წერითი განმავითარებელი შეფასებით. თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ ზეპირი განმავითარებელი შეფასება გამოიყენეს. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას 2023-2024 სასწავლო წელს გამოიყენონ შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა დოკუმენტის სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სახელმწიფო ენა

სკოლა აღნიშნავს, რომ სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რაც ასახულია მოსწავლეთა ნამუშევრებში, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული ფაქტორები გაითვალისწინეს 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენისას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- წარმოდგენილი X და XII კლასის კურიკულუმები აგებულია იმგვარად რომ მასში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრა. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. საბოლოოდ, იკვეთება, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საგნობრივი კურიკულუმებისა და ინდგეგმების გარდა, შეიმუშაონ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის ინსტრუმენტები და სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით კათედრაზე მიიღონ გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევებს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიმართულებით სკოლამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეერჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც შეიმუშავეს შეფასების, როგორც განმსაღვრელი ისე განმავითარებელი რუბრიკები. რუბრიკები წარმოდგენილი აქვთ სამივე საგნობრივი მიმართულებით: ისტორიის, მოქალაქეობისა და გეოგრფაიის მიმართულებით. მათ აქვთ მიზნობრივი ხედვა, ცდილობენ, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით - ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურზე სკოლა გეგმავს სასწავლო წლის ბოლოს კათედრაზე გააანალიზოს მოსწავლეთა შედეგები და ამის გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილებები მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში. კერძოდ, კომპლექსურ დავალებებზე სასკოლო საზოგადოების შეხედულებების გარკვევის მიზნით შეიქმნება კითხვარები და სასწავლო წლის დაწყებამდე გამოიკითხებიან მშობლები და მოსწავლეები. მიღებული უკუკავშირი გაანალიზდება და გათვალისწინებული იქნება კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა -კათედრამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სავალდებულო პროექტის და აგრეთვე პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი. ამის მტკიცებულება წარმოდგენილია პროექტ „კულტურულ მეკვდრეობაში“, ასევე სავალდებულო პროექტის ფარგლებში კათედრას წარმოუდგენილი აქვს სათანადო მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის;
- კათედრის ანგარიშის ოქმი, სადაც ასახულია აქტივობები, რომლებიც გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას ისახავს მიზნად;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი(ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა) ჩარჩო კურიკულუმები
- სკოლის თვითშფასების კითხვარი;
- პათედრის ოქმი;
- საშუალო საფეხურის საზ. მეცნიერებების კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 კურიკულუმის განხორციელება

1.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები, შესაბამისად იძლევა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის აღძვრის შესაძლებლობას, მე-10 კლასის კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ფორმითა და შინაარსით ორიენტირებულია მოსწავლეზე და მოითხოვს აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. საშუალებას აძლევს მოსწავლეს გაიფართოვოს თვალსაწიერი, იმსჯელოს, დაფიქრდეს პრობლემის გადაჭრის გზაზე, შეძლოს პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და შეფასება , დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს დასჭირდებათ ორიგინალური და ახალი იდეის მოფიქრება, იდეების განვითარება.

Iნდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ისე რომ დაკავშირებულია წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, ამაღლებს მოტივაციას, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას, რაც დასტურდება კურიკულუმებში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ინტერვიუს დროს საშუალო საფეხურზე საზ. მეცნიერბების საგნობრივმა ჯგუფმა ხაზგასმით ისაუბრა , რომ სასწავლო პროცესი უნდა აიგოს კომპლექსურ დავალებებზე ორიენტირით. მაგ. მოქალაქეობის საგნის ფარგლებში სასწავლო პროცესი კურიკულუმში აგებულია და მიემართება კომპლესურიდან კომლექსურისაკენ. რაც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიზანია, ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამის 7 საფეხურიანი გეგმის განხორციელება ბიომრავალფეროვნების თემატიკაზე და მთელი სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. სკოლის ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების კუთხის მოწყობა- მაგალითად: გადაშენების პირას მყოფი კოლხური ბზის და ასევე სხვა მცენარეების გაშენება, ბიო მრავალფეროვნების თემასთან დაკავშირებული კედლის ნახატის შექმნა. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება კურიკულუმების სრულყოფა და დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელება. საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემის შესწავლის ფარგლებში გამოვლენილი ინტერესები და იდეები საფუძვლად დაედება სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

კათედრასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მოსწავლეები სავალდებულო პროექტის ფარგლებში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში, ასევე ფოტოს სახით წარმოდგენილი აქვსთ შემოქმედებითი პროდუქტები და განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია. სათანადო მტკიცებლება წარმოდგენილია „კულტურული მემკვიდრეობის“ პროექტის ფარგლებში, სადაც იკვეთება მოსწავლეთა აქტიური, შემოქმედებითი ჩართულობა სათანადო აქტივობებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სახელმწიფო ენა - საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აგებულია თემატური ბლოკების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში, ნაცნობი კონტექსტები იკვეთება ასევე წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების პირობებშიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს მოახდინოს ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე და წარმოდგენელი თემატური მატრიცებით სადაც აღწერილია ცოდნის კონსტრუირების გზა, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ თემატური ერთეულის მატრიცა მე-10 კლასი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსრტუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გააზრებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრის წევრებთან, კურიკულუმებში შემოთავაზებულია კომპლექსური დავალებები, რომლებსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, აღნიშნეს, რომ წინარე გამოცდილებაზე ცოდნის დაშენებას ყოველთვის ცდილობდნენ და ამას ახერხებენ ისეთი შეკითხვების დასმით, როგორი კითხვებიც დაეხმარება მოსწავლეს ცოდნის აგებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალებების შერჩევისას გაითვალისწინეს კონსტრუქტივისტული მიდგომა. აქტივობებს მეტწილად ახორციელებდნენ მარტივიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რთულისაკენ. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმაება კომპლექსური დავალებების შერჩევა და განხორციელება წინარე ცოდნის შეფასება-ანალიზის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ცოდნის მიმართვა მაღალი სააზროვნო უნარებისაკენ, რათა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რასაც დაადასტურებს მათ მიერ შექმნილი პროდუქტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია აქვს წარმოდგენილი, აქვს აგრეთვე წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თუმცა ინტევიუს დროს მასწავლებლები მსჯელობდნენ, რომ იგივე პროექტის დაგეგმვისას გაითვალისწინებენ მოსწავლეების მიერ იმ ათვსებულ ცოდნასა და გამომუშავებულ უნარებს, რომლებიც მათ დაეხმარებათ სათანადო პროექტებს განხორციელებაში. ახალი ცოდნის კონსტრუირება საშუალო საფეხურზე ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

სახელმწიფო ენა

დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმებიი მოითხოვს სწავლის პროცესზე აქცენტირებას მოსწავლის მხრიდან. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი , დაფიქრდეს, რა გამოუვიდა კარგად, რა გაუძნელდა, რა ხერხები და სტრატეგიები გამოიყენა დავალებების შესასრულებლად; შერჩეული დავალებების ბარათებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ითვალისწინებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. გარდა ამისა, გასაუბრებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ გასასვლელ ბილეთებს, თვითშეფასების რუბრიკებს და კითხვარებს იმისათვის , რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება და დასკვნების გამოტანა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა.(ექვსი კომპონენტური უნარი) მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა რომ მოსწავლისათვის შეთავაზებული აქტივობები, და დავალებები უკავშირდება მოსწავლეთა გამოცდილებას, რაც მამოტივირებელია და გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის წახალისებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში მკაფიოდ არ იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, თუმცაღა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. მაგალითად, დაგეგმილი აქვთ არა მხოლოდ კომპლექსური დავალების საკვანძო შეკითხვების გამოყენება ან წერის/ლაპარაკის თვითშეფასების რუბრიკების წარმოება, არამედ სწავლის წინმსწრებ და სწავლის შემდგომ მეტაკოგნიტური სტრატეგიებზე მუშაობაც. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, ასევე ჯგუფის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ სკოლა გარკვეულწილად ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ კათედრა სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელშიც მოსწავლეთა ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება , დამუშავება და ანალიზის კომპეტენციების გაღმავებაა საჭირო. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხურზე მასწავლებლები გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმში ასახონ სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს, განივითაროს მეტაკოგნიტური უნარები, დააკვირდეს საკუთარს/თანატოლთა სწავლის პროცესს, დაკვირვების შედეგად გააკეთოს თვითშეფასება/თანატოლთა შეფასება და შედეგად მიხვდეს, რა არის უკეთესი მისი წინსვლისა და პროგრესისათვის. მოსწავლეს მიეცემა დავალებების ანალიზის საშუალება: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და სხვ.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

სკოლას განხორციელებული პროექტის დამადასტურებელი დოკუმეტაცია მკაფიოდ აქვს აღწერილი , ასევე აქვს წარმოდგენილი მოსწავლეების მიერ შექმნილი საბოლოო პროდუქტი, ასევე აქვს წაროდგენილი2023-2024 სასწავლო წლის სავალდებულო პროექტების იდეები. შესაბამისად ნათელია დადგინდეს თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა საშუალო საფეხურზე მოსწავლეებში სწავლის სწავლის უნარების ხელშეწყობას.სკოლა ინდიკატორტან მიმართებით შესაბამისაობაშია.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. შეთავაზებული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ როგორც ფაქტობრივი ცოდნის დაუფლება, ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, ლიტერატურული მასალის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინების შესანიშნავი მაგალითია კათედრის მიერ წამოწყებული პროექტი, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირობისეული ცოდნას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. თემის შიგნით არის ლოგიკური კავშირები საკითხების სწავლებასა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. რაც დასტურდება მასწავლებლების გასაუბრების საფუძველზე და წარმოდგენელი თემატური მატრიცებით სადაც აღწერილია ცოდნის კონსტრუირების გზა, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. კერძოდ თემატური ერთეულის მატრიცა მე-10 კლასი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ინტერვიუს დროს , საშუალო საფეხურის საზ. მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ გააზრებული აქვთ თემატური გეგმის შემადგენელი კომპონენტების არსი, მათი მსჯელობის თანახმად, კომპლექსური დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. სწორედ სამივე ცოდნის კატეგორიაზე ორიენტირებით მოიაზრებენ ახალი სასწავლო წლის წარმართვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საშუალო საფეხურის საგნობრივ (ქიმია ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმებზე დაყრდნობით იკვეთება,რომ ფაქტობრივი ცოდნის გარდა მოსწავლეს შეუძლია ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში განზოგადება. კომპლექსური დავალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ მისი შესრულება მოითხოვს ცოდნათა სამივე კატეგორიის ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის გამოცდილება. სკოლა ხელს უწყობს კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა: სასკოლო კლუბები, წრეები, ექსკურსიები და სხვა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), სკოლას აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები და ყოველივე ეს ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციიდანაც დასტურდება. საშუალო საფეხურის მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5. .სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენლი კურიკულუმის ჩარჩოში მკაფიოდ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, სამიზნე ცნებები და ქვეცნები,რაც ცხადყოფს რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება, დააკავშირონ შინაარსი, საკითხი და პრობლემა ერთმანეთს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

წარმოდგენილ კურიკულუმებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ასახავს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებს, სადაც განსახილველი თემის შინაარსი, საკითხი და პრობლემა მოსწავლისთვის უცხო არ არის. ამდენად, აღნიშნული უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იწყებს ფიქრს პრობლემაზე, გამოწვევაზე და თავს უყრის ყველა იმ უნარს და ცოდნას, რაც მას ამ მიმართულებით რელევანტურად მიაჩნია; ნაცვლად ახალი მასალის დასწავლისა და უბრალო რეპროდიქციისა, მოსწავლე ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემული დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. რაც ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ასევე, ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რომ დაგეგმონ და განახორციელონ მსგავსი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

გეოგრაფიის ,სამოქალაქო განათლების, საქ. ისტორიის, ისტორიის საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრაზე ხშირად ხდება საგანთა ინტეგრაციით პროექტების დაგეგმვა-განხორციელება. რაც მოითხოვს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ იგეგმება ასევევ ინტეგრირებული გაკვეთილები. სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ, ცოდნის როგორც დაორგანოზების ისე ურთიერთდაკავშირების უნარები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მიმდინარე წელს საშუალო საფეხურის კათერდ მოსწავლის ცოდნისა და უნარების ორგანიზებას ახორციელებდა ძირითადად დაკვირვებისა და ჩანაწერების საფუძველზე. იგეგმება შეფასებისა და თვითშეფასების დღიურების გამოყენება კომპლექსური დავალებების განხორციელება/შეფასებისთვის, ასევე მოსწავლის პორტფოლიოების წარმოება, რომლის საშუალებითაც მოსწავლეც და მასწავლებელიც დაინახავს თავის შესაძლებლობებს, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის პროექტით სწავლების ფარგლებში სკოლამ განახორციელა პროექტი ხელოვნებაში. მასწავლებლებთან ინტერვიუდან საუბრისას ირკვევა რომ პროექტის განხორციელებისას განისაზღვრა სასწავლო მიზნები, თემები, საკითხები, სწავლების სტრატეგიები, რომელიც დაფუძნებულია ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრების, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებასთან. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ,რომ საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩოები;.
- ფოკუსჯგუფთან შეხვედრის დროს წარმოდგენილი არგუმენტირებული მოსაზრებები და მაგალითები.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი(ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა) ჩარჩო კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის თვითშფასების კითხვარი
- კათედრის ოქმი
- შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-10 კლასის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული კრიტერიუმები კორელაციაში იყოს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში არამიზანმიმართული გახდება სწავლების პროცესი, ვერ იქნება გათვალისწინებული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ამ პრინციპის გათვალისწინებით აიგება ყველა კომპლექსური დავალების პირობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- წარმოდგენილი კურიკულუმებში ასახულია საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები, რომელიც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. ეს დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი თემატური ერთეულის მატრიცით, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, ასევე კურიკულუმში ასახული კომპლექსური ბუნების დავალებებით, კომპლექსური დავალებისა და საკითხის შესასწავლად გამოყენებული რესურსებით. კერძოდ: მე-10 კლასის კომპლექსური დავალების ბარათები , სადაც ნათლად ჩანს მიმართებები სამიზნე ცნებებს, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და საკვანძო კოთხვას შორის კონტექსტთან კავშირში. აქვეა განმავითარებელი . შეფასების რუბრიკები **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**.

უცხოური ენა

წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კათედრამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის კერძო ნიმუში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას აქცენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზ. მეცნიერებების კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული, უნდა აღინიშნოს, რომ მე-10 კლასის მოქალაქეობისა და გეოგრაფიის კურიკულუმში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა, რაც დადასტურდა მათ მიერ კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპების დეტალური აღწერით.სასურველია ისტორიის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მიმართულებითაც სასწავლო პროცესი მიემართებოდეს კომლექსურიდან კომლექსურისკენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის საგნობრივ (ქიმია,ბიოლოგია,ფიზიკა) კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, შერჩეული საკითხები იძლევა თემის დამუშავების საშუალებას მუშავდება სამიზნე ცნებები, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია კერძო ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელწყობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა -

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

სახელმწიფო ენა

კათედრის მიერ წარმოდგენილ მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი. შესაბამისად ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მოსწავლე ყალიბდება პიროვნებად, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს კეთილდღეობა, აკადემიური მიღწევა და იდენტობა. დავალებებზე მუშაობის, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად; გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს; გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა თუ სოციალურ ქცევებს შორის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- X და XII კლასების წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში და ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში საგნობრივი საკითხები ისეა წარმოდგენილი რომ არც ძალიან იოლია და არც ძალიან რთული მოსწავლისთვის , მათი შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. X კლასის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალებებში მოცემული საკვანძო კითხვების გააქტიურება იწვევს მოსწავლის დაფიქრებას, ამ კითხვებზე პასუხის ასახვა ხდება მოსწავლეთა დავალებებში, არაფორმალური აქტივობებში , რაც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

წარმოდგენილი საგნობრივ პროგრამებში საგნობრივი საკითხები შერჩეულია იმგვარად, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისთვის. ეს ასახულია საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკაში. გასაუბრების კი გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე შემავალ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისას გამოიკეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიერ შექმნილი არაფორმალური განათლება, პროექტული სწავლება, პრიორიტეტულ თემებზე მაგ:ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, რომელიც აქტიურად ხორციელდება სკოლაში ავითარებს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს; ხდება იდენტობის განვითარება; ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეებში ემპათიის, მზრუნველობის, პასუხისმგებლობის გრძნობის გასაღვივებლად ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტი ემსახურება არა მხოლოდ საკითხის შინაარსობრივ შესწავლას, არამედ მოსწავლეთა პიროვნულ, ფსიქო–სოციალურ და ემოციურ განვითარებას. სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო.მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება მრავალმხმრივი აქტივობების განხორციელება,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება, რომელიც სკოლას ჰქონდა ხელოვნებაში მეათე კლასში დოკუმენტის სახით აქვს წარმოდგენილი, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს გათვალისწინებული ჰქონდათ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. განხორციელებული პროექტი მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, ხელოვნების ნიმუშების გაცნობისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. ამ მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, ინდიკატორთან - საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სახელმწიფო ენა

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მაგ. პრეზენტაციის, დისკუსიის,ანალიტიკური ესეს, სინთეზური ესეს შეფასების რუბრიკა. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კიდევ უფრო ეფექტურად შეირჩევა კონკრეტული ინსტრუმენტი და კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მასალებში წარმოდგენილია მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რომლებიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. გასაუბრებაზე აღნიშნეს მასწავლებლებმა რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებაში და მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრაში, რის საფუძველზეც გეგმავენ მოსწავლის პროგრესის გზას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

სკოლის მიერ წამოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ პროცესს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოუდგენია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ახალი მთხოვნის შესაბამისი კერძო რუბრიკები, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული და დაგეგმილი აქვთ ამ ნაწილზე მუშაობა. გასუბრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით განიხილება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ასევე, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე და ითვალისწინებს მოსწავლის ჩართულობასაც სასწავლო პროცესში. საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საგნობრივ ჯგუფთან მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გარკვეულწილად გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური, ოჯახური მდგომარეობაც, რის შესახებაც ინფორმაციას იღებენ დამრიგებლებისგან, ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის შეფასების სისტემა მოიცავს საგნობრივი კათედრების/მასწავლებლის მიერ შედგენილ შეფასების რუბრიკებს ცალკეულ საგნებში განმავითარებელი შეფასების ფორმებს და და მეთოდებს. მოსწავლის მრავალმხრივი განვითარებაბის მიზნით კიდევ გადაიხედება რუბრიკები, რათა შეფასება მიმართული იყოს მის როგორც კოგნიტური, ისე ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებისკენ. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

მეათე კლასის პროექტული სწავლების დროს, რომელიც 2022-2023 წელს განხორციელდა ხელოვნებაში, მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასებით, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ასახულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს რომ პროექტული სწავლება შეაფასეს განმავითარებელი შეფასებით და გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან მატერიალურად გაწერენ შეფასების რუბრიკებს. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრებმა აღნიშნავენ , რომ ხშირ შემთხვევაში შეფასების რუბრიკებს შეიმუშავებენ მოსწავლეებთან ერთად. შესაბამისად, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, თუ როგორ, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასდება მათი ნაშრომი, გარდა ამისა, შემდგომ ეტაპზე თითოეული კომპლექსური დავალებისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის დანიშნულებაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარგად აქვთ გააზრებული. რუბრიკები შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობას და ობიექტურობას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- შეფასების რუბრიკები შესაბამისობაშია კონკრეტულ აქტივობებთან, თემასთან და სასწავლო მიზნებთან. როგორც შეხვედრაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს , რუბრიკა წინასწარ ცნობილია ყველა მოსწავლისათვის, არსებული რუბრიკები მომავალი სასწავლო წლისათვის დაიხვეწება და შეიქნება ახალიც. შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ნათლად და ასახავს მიღწევის დონეს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, საბაზო საფეხურის განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია . ამას გარდა ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. **Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე მოწოდებული მასალებიდან, ასევე ინტერვიუს დროს დასმული პრაქტიკული ტიპის კითხვებიდან ირკვევა , რომ კათედრაზე შეთანხმებული და გააზრებული ხედვაა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულია შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი. ინტერვიუების დროს კი აღინიშნა, რომ წინარე გამოცდილებები მათ დაეხმარება ახალი სასწავლო წლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს მოხდა გაზიარება რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა ჩართულობაზე შეფასების რუბრიკების მომზადების პროცესებში, კარგი იქნება თუ კათედრა ამ მიმართულებითაც დაგეგმავდა დამატებით აქტივობებს და მეტი გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიზნით მოსწავლეებსაც ჩართავდნენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-

კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (ჰოლისტური) შესაბამისობაშია კონკრეტულ აქტივობასთან, თემასთან და სასწავლო მიზანთან. შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია ნათლად და ასახავს შედეგის მიღწევის დონეს. შფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია ყველა მოსწავლისათვის. შეიქიმნება ახალი ანალიტიკური რუბრიკები,რომელიც საშუალებას მისცემს სკოლას პროცესი გახადოს უფრო მეტად ვალიდური,სანდო,ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩაჩანიძე

არ არის წარმოდგენილი პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოსწავლეებს აცნობენ , უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, გვაძლევს საშუალებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სახელმწიფო ენა

კათედრაზე შემუშავებული შიდა ვერიფიკაციის სისტემა გულისხმობს რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზს, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე განიხილება მოსწავლეთა ნამუშევრები . მომავალი სასწავლო წლისთვის წარმოსადგენი შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემა შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემა ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება შემდგომ ეტაპზე მეთოდოლოგიურ დანართში. ამ ეტაპზე შესაბამისობა დადგინდა ცალკეულ ინსტრუმენტებსა და რუბრიკებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და კათედრის წევრებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპისათვის, ვერიფიკაციის კონკრეტული მექანიზმი არ აქვთ შემუშავებული, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ორჯერ ჩაატარდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს მესამე ინსტრუმენტი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას გააზრებული აქვს ვერიფიკაციის ის მექანიზმი, რაც სკოლაში/კათედრაზე ამოქმედდება მომდევნო სასწავლო წლიდან.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. გარდა ამისა, მომდევნოს სასწავლო წლისთვის კათედრაზე განისაზღვრა, რომ სემესტრში ერთხელ ჩაატარდება დიაგნოსტიკურ შეფასება, რომლისთვისაც შეარჩიეს პირველი ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აქტივობების შეფასებისას იყენებდნენ ჩანაწერებს და დაკვირვების ცხრილებს. საბაზო საფეხურის საგნობრივი შეფასების სისტემა მეტწილად შეესაბამება ვერიფიკაციის მექანიზმს. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგეგმება აღნიშნული სისტემის გაუმჯობესება და გადასინჯული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა. მოსწავლეები წინასწარ გაეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს და დავალების შესრულებისათვის განკუთვნილ ვადებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ იმ გამოცდილებისა და კომპეტენციის საფუძველზე, რაც აქვთ. გამოთქვამენ მზაობას 2023-2024 სასწავლო წლისთვის უფრო მეტად გაერკვნენ საკითხის არსში და იმოქმედონ სკოლის საერთო ინტერესის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სახელმწიფო ენა - სკოლაში დაცულია ჟურნალი ხუთი წლის ვადით, მოსწავლეთა პირადი საქმეები, შემაჯამებლები ერთი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სკოლა უზრუნველყოფს არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა
მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

მოსწავლეთა განმსაზღვრელი წლიური შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში და ინახება სკოლაში სწავლის დამთავრებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმის მიხედვით სკოლა მომავალში უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. შესაბამისად, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩოები;
- შეფასების ინსტრუმენტები / რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები;
- თვითშეფასების კითხვარი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სახელმწიფო ენა

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესისთვის ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას. სკოლის მისია და ხედვა მოსწავლეზე ორიენტირებულია, საათობრივი ბადე შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საჭიროების მოსწავლისთვის.სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, პრობლემაზე ორიენტირებით, სასკოლო საზოგადოების წევრების გაზიარებული პასუხისმგებლობით, რასაც ცხადყოფს კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკა- წარმოდგენილ კურიკულუმებში ყურადღება მახვილდება ისეთ სასწავლო გარემოზე, სადაც მოსწავლე გრძნობს თავს დაცულათ და მისი ცოდნა და უნარები ვითარდება ეტაპობრივად, ასევე სასწავლო მასალა მოსწავლეებს მიეწოდებათ დონის შესაბამისად. სკოლა, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სასწავლო პროცესში ქმნის უპირობოდ პოზიტიური გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. ამ ნაწილის დამადასტურებელია ის ანალიზი რაც წინა კრიტერიუმების აღწერით შეფასებაშია მოცემული. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი-

სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა, მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს. ითვალისწინებდა მათ ინტერესებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობისა და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს, შეიმუშავოს ახალი მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრასთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს, გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების ჩამოყალიბებისასაც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლა ზრუნავს რათა შექმნას ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინდივიდუალურად ზრუნავენ და ეხმარებიან მოსწავლეებს, აქტიურად უსმენს მათ, ითვალისწინებენ შეხედულებებსა და ინტერესებს, უმაღლებენ შესაძლებლობების რწმენას. მშობელთა ნაწილი ჩართულია შვილის სასკოლო ცხოვრებაში, ეხმარება საშინაო დავალებების/კომპლექსური დავალების შესრულებისას. თანაკლასელები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა მიმართულებით, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობით ძლევენ ისეთი დავალებებს, რომლის ინდივიდუალურად შესრულებაც უჭირთ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა საშუალო საფეხურზე ესთეტიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის თვითშეფასების ფორმით. შესაბამისად, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

.2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;.

სახელმწიფო ენა

კათედრაზე ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავებული კურიკულუმი შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და თვითგამოხატვას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა სკოლა მუშაობს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მზაობა და ის უნარები რომელიც მათ შეიძინენ სასწავლო პროცესში, ამასთან ყურადღება მიექცევა ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა - კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. სწავლების მეთოდოლოგია თუ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლზე და მთლიანი პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით ურთიერთობას. ამ ნაწილის დამადასტურებელია ის ანალიზი რაც წინა კრიტერიუმების აღწერით შეფასებაშია მოცემული.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც ასახულია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და ასევე თავისთავში მოიაზრებს, განმავითარებელ შეფასებასაც. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ფორმალური და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მოთხოვნილებები. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ მამოტივირებელ მრავალფეროვან რესურსებს, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დროს თანამშრომლობენ მოსწავლეებთან, აზუსტებენ დავალების პირობას, აკვირდებიან და ინიშნავსენ ვის რა უძნელდება სწავლა-სწავლების პროცესში; საჭიროებისამებრ, სთავაზობენ მოსწავლეებს დამატებით, დამხმარე აქტივობებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა - კურიკულუმებში ჩაშენებული პროექტული დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, შესაბამისად, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას , მათი მუშაობის პრინციპები აგებულია თანამშრომლობასა და გუნდურობაზე, რასაც ადასტურებს ერთობლივად შემუშავებული კურიკულუმები. აქვთ მზაობა, განავითარონ მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექციისა და მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესებში და მათ შორის ეფექტური კომუნიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა სკოლაში აქტიურად ხდება შეხედულების, მოსაზრებების აქტიური გაცვლა რაც მიუთითებს თანამშრომლობითი გარემოს არსებობაზე, ამასთან ინტერვიუს დროს კარგად შედგა კომუნიკაცია. რაც მიმღებლობასა და სასწავლო პროცესის კოლეგიარულ გარემოში წარმართვას ასაბუთებს. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

კურიკულუმების ანალიზისა და კათედრის წარმომადგენლებთან ინტერვიუს ანალიზი იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ურთიერთგაგებაზე, მხარდაჭერასა და თანამშრომლობაზე. ამ დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის ფაქტები, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის საზოგადოება, გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მასწავლებლების ინტერესები და შესაძლებლობები. კურიკულუმის შემუშავების თუ იმპლემენტაციისას, მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების აზრსა და შესაძლებლობებს, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საფეხურზე თუ შესაბამის კლასში კომპლექსურ დავალებების რაოდენობების შერჩევისას აანალიზებენ კოლეგების მზაობას ამ დავალებების განსახორციელებლად. Ითვალისწინებენ იმას, რომ სასწავლო პროცესი შეძლებადი და დაძლევადი იყოს მასწავლებლებისათვის რათა ამ პროცესში არ დაზარალდეს მოსწავლის ინტერესი და საჭიროება. კოლეგებია ერთად აკერებენ და ირჩევემ იმ თემებსა და საკითხებს, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ უკეთ და მეტად ეფექტურად მიაღწიონ სტანდარტით განსაზღვრული საფეხურის შედეგებს. ასევე, კოლეგები ერთობლივად თანხმდებიან ძირითად და დამხმარე რესურსებზე და შეფასების ინსტრუმენტებზე. როგორც ინტერვიუმ აჩვენა, კათედრაზე პასუხისმგებლობების დელეგირება ხება გონივრულად, თანაბრად და ეფექურად. ყოველივე ეს კი ადასტურებს, თანამშრომლობითი კულტუროს ტრადიციას.**Ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინოვაციებს, ახალ მეთოდებს, ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში, კურიკულუმის დანერგვის პროცესის, მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებას, პროექტ ული სწავლების გამოყენებით, სასკოლო თემის ჩართულობას, სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

კათედრასთან შეხვედრისას გამოიკვეთა რომ წევრები მჭიდრო ურთიერთ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. იცნობდნენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს, გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ეწყობა სხვადასხვა სახის პროექტები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში მკვიდრდება ურთიერთ სწავლებაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლებს მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებული პრობლემების დადგენისა და მოგვარების მიზნით. იგეგმება პედაგოგიური კვლევების განხორციელება და კოლეგებისათვის გაზიარება. „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის რეალური ამოქმედება, მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება. კათედრაზე მოხდება განხორციელებული კომპლექსური დავალებების განხილვა, ანალიზი, შეფასება და ინტერვენციების დაგეგმვა, გაგრძელდება საბუნებისმეტყველო კათედრის თანამშრომლობა ეკო. კომიტეტის ფარგლებში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა კურიკულუმებში ჩაშენებული პროექტული დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტში, ხდება მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. მაკრახიტ

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა მათი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტებია.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კათედრაზე არის მუშა პროცესი, როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ისინი კვლავ აპირებენ სასკოლო კურიკულუმების გადახედვას და დახვეწას რომელიც უფრო კარგად წარმოაჩენს კლასის მიღწევის დონეს და მოსწავლის განვითარების გზას. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**.

უცხოური ენა

როგორც კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული გარემოა. რაც შეეხება ფიზიკურ გარემოს, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს საკლასო ოთახები ფიზიკურად იძლევა საშუალებას ავეჯი განლაგდეს აქტივობების შესაბამისად რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის ეფექტურობა და მოსწავლეების აქტივობებში ჩართვის მოტივაცია.. გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, სკოლისა და კლასის დონეზე. თუმცა აქვს გაუმჯობესების მეტი მზაობა. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის გასაუბრებიდან გამომდინარე, სკოლაში ყოველთვის ატარებდნენ სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებებს . ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილი და გადამუშავებული კურიკულუმები, კიდევ მეტად გააქტიურებს ამ პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-

სკოლაში არის პოზიტიური გარემო. დერეფნები და საკლასო ოთახები გამოიყურება მიმზიდველად. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, განივითაროონ შემოქმედებითი უნარები - გამოფინონ და დაათვალიერონ ნამუშევრები. საკლასო ოთახები ფიზიკურად იძლევა საშუალებას, ავეჯი განლაგდეს აქტივობების შესაბამისად. გარემოს შექმნაში მოსწავლეები თავად არიან ჩართულნი და აქვთ ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე, კომპიუტერულ ტექნიკასა და ინტერნეტზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში ქცევის წესები, ხოლო საკლასო სივრცეებში განთავსებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებულია კლასში ქცევის წესები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ პროექტები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში
- სასწავლო გეგმის პროექტები
- კათედრის შეხვედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშის ფორმები
- საშუალო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები.
- სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები.
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები თანხმდებიან, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. მონიტორინგისა და შეფასების აქტივობების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური ჩარჩოს/გეგმის შემუშავება, რათა მკაფიო იყოს რა კითხვებზე პასუხის გაცემას ემსახურება შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩო ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმის და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებსათვის. კათედრა კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებს მექანიზმს ან შეარჩევს ინსტრუმენტს სარეკომენდაციო მასალებიდან და წარმოადგენს მეთოდოლოგიურ დანართში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა- სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება სამომავლო გეგმაა სკოლისათვის, ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშეფასების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არის შესამუშავებელი, სამომავლოდ სკოლა გეგმავს, მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დებულებები). რომელიც სასურველია ნათლად ჩანდეს, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მათ მიერ დიაგნოსტირებისათვის შერჩეულია I. ინსტრუმენტი, ხოლო პედაგოგიკური საქმიანობის კვლევას წარმართავენ თემატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურდა ჩატარებული ინტერვიუების პროცესშიც. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმები გადაიხედება და შემუშავდება მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს მეთოდოლოგიურ ჩარჩო/გეგმას, რის საფუძველძეც სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება პროცესების მონიტორინგი, თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების ეტაპი, მასწავლებლები შეავსებენ თვითშეფასების რუბრიკას მატრიცისა და დაგეგმილი სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სახელმწიფო ენა

სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დამუშავების ეტაპზეა. სამომავლოდ აისახება თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ამ ეტაპზე სკოლა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში , კონკრეტული მექანიზმი წარმოდგენილი იქნება სექტემბრამდე. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და დახმარებას..**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება სამომავლო გეგმაა სკოლისათვის, ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილია არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეული სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლოსაზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრასთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში ხდება ფიზიკური აღზრდის და სპორტის გაკვეთილზე დასწრება, უკუკავშირის, რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ, პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. იკვეთება, რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ფიზიკური აღზრდის პედაგოგები ჩართული არიან აღნიშნულ პროცესში. რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს სასკოლო საზოგადოების წევრების ერთგვარ მხარდაჭერას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა ესთეტიკის კათედრაზე მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად ,,კრიტიკული მეგობრის“ სახით ესწრებიან ერთმანეთს, პროექტულ სწავლებასთან მიმართებაში გეგმავენ აქტივობებს და უზიარებენ ერთმანეთს გაკვეთილებზე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და მხარდაჭერის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის მიზნით გეგმავს თემატური ერთეულების გავლის შემდეგ სადიაგნოსტიკო ინსტუმენტებიდან დანერგოს ერთ-ერთი და აღიშნულის საფუძველზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინოს საჭიროება სად სჭირდება მოსწავლეს დახმარება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სახელმწიფო ენა

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. აღნიშნული პროცესის შესაფასებლად გამოსაყენებელი ინსტრუმენტი შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება კათედრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა , მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული მონიტორინგით და შეფასებით განსაზღვრეს მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლაში გამოკვეთილი სასკოლო საზოგადოების საჭიროებების და პრობლემების გადაჭრის გზები **.ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

უცხოური ენა

კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფსების მიზნით, კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს სადიაგნოსტიკო სეფასება. შერჩეული ინსტრუმენტი შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს გამოკვეთონ პრობლემა, ამ პრობლემაზე დააფიქრონ მოსწავლეები და მატთან ერთად დაგეგმონ გამოსავლის გზები. კათედრის წევრებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი გააზრებული და გონივრულადაა დაგეგმილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად აქვთ შერცეულისადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ მონიტორინგისათვის შერჩეული და შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლოსაზოგადოების მხარდაჭერას და ეფექტურ სასწალო პროცესს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზკიური აღზრდა და სპორტი

სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სამომავლოდ უმჯობესი იქნება, სკოლამ გაითვალისწინოს მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერების მიზნით, სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგები და საჭიროებები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ამ მიმართულებით კათედრა გეგმავს წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკური შეფასების ჩატარებას. ასევე პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას თემატურ გეგმებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს,რომ მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება სკოლას საშუალებას მისცემს, გამოკვეთოს არსებული პრობლემები და დაგეგმოს ამ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, შეიმუშავებს კურიკულუმზე მუშაობის კითხვარს, სადაც სასკოლო საზოგადოება ასახავს კურიკულუმის სუსტ და ძლიერ მხარეებს, შეფასების ნაწილში მოხდება მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ქმედითობის განსაზღვრა,რასაც ასახავენ ცვლილებების სახით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- კონკრეტული მაგალითები წინარე გამოცდილებიდან.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები.
- შეფასების რუბრიკები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სახელმწიფო ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრები ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. აღნისნული პროცესის შესაფასებლად კათედრის წევრების მიერ ერთობლივად შემუშავებული მონაცემთა შეგროვების მექანიზმები/ ინსტრუმენტები, წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში, რომელიც შემუშავების პროცესშია, ამ ეტაპზე მათი ხედვა წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ცალკეული შეფასების რუბრიკით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- კათედრას აქვს მზაობა, შეფასებისას დაეყრდნოს მრავალფეროვან წყაროებს, სასკოლო საზოგადოებას, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან აისახება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდებასხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესშიაქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირიასწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებსრეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას არა მარტო პროცენტულად რამდენიმოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვსდასკვნები, თუ რომელ საკითხს/აქტივობას გაართვეს კარგად თავი მოსწავლეებმა დარომელი საკითხში/აქტივობაში არის ჩავარდნა. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციისსაშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლიამოსწავლეთა უმეტესესობამ. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებსსტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. შემდგომში სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გადამუშავების დროს და პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც მაგ. ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, საჭიროებები, მოსწავლის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, შესაბამისი აქტივობების გამოყენებით. ამ საკითხზე მსჯელობენ და მუშაობენ კათედრის წევრები,რათა ახალი სასწავლო წლისთვის შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე ორიენტირებული და მორგებული გახდეს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა კათედრას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან ერთად შეიმუშავოს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, სადაც სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით სხვადასხვა კონტექსტში დააკვირდება პროცესებს, მოსწავლეთა ჩართულობას , სწავლების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, რომელსაც მოიპოვებს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ეს შეიძლება იყოს მატერიალური, სტატისტიკური, ფინანსური და სხვა რესურსი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სახელმწიფო ენა

საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას ერთ-ერთი მიზანია მასწავლებელმა შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, იდეა, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მექანიზმი შემუშავების ეტაპზეა, შესაძლოა კათედრამ შეარჩიოს შეთავაზებული სარეკომენდაციო ინსტრუმენტებიდან და წარმოდგინოს მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ანალიზის საფუძველზე, ადაპტირებული კომპლექსური დავალებების , მოსწავლეთა ნამუშევრების და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით, შეიძლება დავასკვნა რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულიშეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვაბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვასტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელსუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასებაეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები. სასწავლო პროცესში მიცემული შეფასება არის ყოვლისმომცველი და ამომწურავია. შეფასებახდება სისტემატიურად, სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელიშეფასება. კათედრის მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასებისკრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები. ამასთანავე, ფასდება საკლასო, დამოუკიდებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტებით. ხოლო კომპლექსურიდავალებების შეფასება ხდება სოლო-ტაქსონომიის მეშვეობით, ინდივიდუალურად მათი ცოდნისადა შესაძლებლობების შესაბამისად. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს დახვეწას და განვითარებას, რომლის ამოცანა იქნება უზრუნველყოს შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასების, მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით. რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ სამუშაო და გასაუმჯობესებელი. სწორედ ამ მიზნით იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტისა და წინაპირობასა გათვალისწინებით., რაც საშუალებას ადლევთ მოხდეს მოსწავლის მრავალიმხრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება,. . მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას, რომელიც უფრო გაუმჯობესებს მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა სკოლას აქვს გამოცდილება შეისწავლოს მოსწავლე სხვადასხვა კონტექსტში, რათა შეფასების დროს რეალურად დაინახოს მიღწევები და გამოწვევები. სკოლა შეფასების მიზნიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლიდან სრულყოფილი ინფორმაციისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დააკვირდება და შეისწავლის მოსწავლის მზაობას სხვადასხვა კონტექსტებით და ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად შეფასების მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრავს საჭიროებებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. მნიშვნელოვანია შეფასების დაგეგმვისას სწორად იყოს შერჩეული კვლევის მეთოდები, გაგებული უნდა იყოს როგორც სკოლის, მასწავლებლის, თუ სხვა დამგეგმავის სტრატეგიები დასვას კითხვები, შეიმუშავოს ამ კითხვებზე საპასუხო ამოცანები იმ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რაც დაგვეხმარება სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესის და მოსწვალის მიღწევის გამუჯობესებაში. ამ მიმართულებით მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია შემუშავების პროცესშია და წარმოდგენილი იქნება უახლოეს პერიოდში ერთობლივად შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- ამ ეტაპზე სკოლაში დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად გამოიყენება დაკვირვება და ზეპირი გამოკითხვა, სექტემბრიდან იგეგმება დაკვირვების დღიურების წარმოება და შესაბამისად შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენა

როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს ურთიერთდასწრების, თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების, მოსწავლეებთან საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალების, შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ კათედრაზე ჯერ კიდევ ბევრია ამ კუთხით სამუშაო და განმავითარებელი შეფასება ისევ რჩება პრობლებურ საკითხად, რომელზეც მუშაობა კვლავ ინტენსიურად უნდა დაიგეგმოს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით, შეაგროვოს მონაცემები და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი მოსწავლეების სადიაგნოსტიკო შეფასება ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სათანადოდ იქნება განხორციელებული, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საჭიროებათა გამოსავლენად მონაცემების შეგროვებას.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასებისას იყენებს სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავს მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით. ასევე 2023 -2024 სასწავლო წლისათვის გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალებების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება შესრულებული დავალების შემოწმებისა და დაკვირვების გზით. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების, ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებული როგორც კონკრეტულ თემაზე მორგებული, ასევე ზოგადი რუბრიკები, როგორიცაა დისკუსია, პრეზენტაცია, ექსპერიმენტი და სხვა. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ესთეტიკური აღზრდა სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები, როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი, რომლის საფუძველზეც მოხდება ინფორმაციის დამუშავება, დახარისხება, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეფასების ჰოლისტური მიდგომებით დააბალანსოს და გამოკვეთოს თითოეული მეთოდის სუსტი და ძლიერი მხარეები. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ სწავლა -სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია მულტი ფაქტორული მიდგომები, რაც მოსწავლის ფუნქციური უნარების ანალიზს გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, მასწავლებლები საუბარში გამოკვეთენ, რომ აღნიშნული მიმართულებით მუშაობენ, ერთობლივად შემუშავებული მიდგომები, რომლებიც მათი თქმით წინარე გამოცდილების ანალიზს დაეყრდნობა, აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების/თვითშეფასების ოქმის ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლა მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორიცაა: მოსწავლის მოტივაციას, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას, მიღწეულ შედეგებს და არა პიროვნულად მოსწავლეს. ითვალისწინებს ეთნიკურობას, ენობრივ ბარიერს, სოციალურ მდგომარეობას, რელიგიას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სკოლის მიერ წარმოდგენილ ნარატივში ჩანს თუ, როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასურველია მომავალშიც განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაშიც - მოხდეს ყველა ფაქტორების გათვალისწინება, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებენ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მოსწავლეთა შეფასების დროს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კათედრა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შეფასების დროს ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა მოსწავლეთა განწყობები, სასკოლო მზაობა, საჭიროებები და ა.შ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა სკოლა გამოთქვამს მზაობას ახალი სასწავლო წლიდან შეიმუშაოს შეფასების ინსტრუმენტები ყველა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუს წარმართვის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია.
- შეფასების ცალკეული ინსტრუმენტები და რუბრიკები.
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საზოგადოებრივი მეცნიერებები:
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი ოქმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუები

შეფასება:

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული მიზნები, პროცესები- გაუმჯობესებული თუ არა. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივის შეფასებისას. კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? როგორ გავაზიარო პასუხისმგებლობა ამ გამოცდილების გათვალისწინებაზე სასკოლო საზოგაოდებაში და ა.შ. აღნიშნავენ, რომ წინარე გამოცდილება გამოიყენეს ახალი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, იგეგმება ამ მიმართულებით კონკრეტული ინსტრუმენტებისა და კურიკულუმის ეფექტიანობის განმსაზღვრელი მექანიზმის შემუშავება, რომელიც აისახება მეთოდოლოგიურ დანართში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

მათემატიკა- სკოლას ამ ეტაპზე სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი შემუშავებული არა აქვს, მაგრამ ხდება კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ და შედეგად ახალი სასწავლო წლისთვის შეიქმნება აღნიშნული დოკუმენტი. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

უცხოური ენა

კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრა გეგმავს ყოველწლირად განიხილოს სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავოს სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. რჩევა სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით, როგორც ჩანს მცირე გამოცდილება აქვს. თუმცა, ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები-
მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ახალი სასწავლო სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის მასწავლებლების თვითრეფლექსია, განვლილი პროცესების გაანალიზება, კათედრის წარმომადგენლები იკრიბებიან და განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მსჯელობენ მათ ეფექტიანობაზე, მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისთვის. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები--პედაგოგემა გასაუბრებისას აღნიშნეს,რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სასწავლო გარემოს, გამოყენებული სასწავლო მეთოდებისა და სტრატეგიების საფუძველზე. გაკვეთილის ჩატარების შემდეგ ,მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას.კათედრაზე შეფასების ჯგუფი გასცემს რეკომენდაციებს ინტერვენციების შესახებ.სამომავლოდ იგეგმება შეიქმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი,რომელიც იქნება საფუძველი გადამუშავებული ვერსიის შქმნისათვის.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა კათედრაზე აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლის კურიკულუმი და სამოქმედო წლიურ გეგმაში ასახავს და გამოკვეთს პრიორიტეტებს, დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს სკოლის მზაობას და გამოცდილებას, ძლიერ და სუსტ მხარეებს. .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის შემდეგ კათედრა შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. სკოლა შეიმუშავებს თვითშეფასების კითხვარს, სადაც თვითრეფლექსიის საფუძველზე დაგეგმავს ახალ სასწავლო წელს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სახელმწიფო ენა

კათედრის წევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები სრულყოფილად აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში, ნაწილობრივ ასახულია კიდევაც. ეს გამოცდილება გათვალისწინებული იქნება, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. ახალი კურიკულუმის შედგენისას მეტნაკლებად გათვალისწინებულია ის პრობლემები, რომელიც მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. შესაბამისად კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს არა მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა, არამედ კათედრისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა, ვინც მონაწილეობა მიიღო კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრები 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში გეგმავენ პარალელურ კლასებში ერთიდაიმავე კომპლექსური დავალებების დანერგვას, დანერგვის პროცესის შესაფასებლად შემუშავებული ინსტრუმენტები წარმოდგენილი იქნება მეთოდოლოგიურ დანართში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

მათემატიკა როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია/გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს; მიმდინარე სასწავლო წელს შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების ოთხი ინსტრუმენტიდან ააირჩიეს მეორე და მესამე ინსტრუმენტები, რის საფუძველზეც შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



უცხოური ენა

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებითიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, მონიტორინდის დაშეფასების შედეგებს არსებული კურიკულუმების მოთხოვნილებისამებრ, აკეთებენთვითშეფასებას და მის საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურიათუნდაც გადამუშავებული წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას -კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე ცოდნის გამოცდილებას,
ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები, რომლის რევიზიის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში სრულ შესაბამისობაში მოვა ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აანალიზებენ წინარე გამოცდილებას და ამის საფუძველზე ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს 2023-2024 სასწავლო წლისთვის, ამას ადასტურებს ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც კათედრაზე ერთობლივი მუშაობის შედეგადაა ჩამოყალიბებული.ასევე აღსაღნიშნავია სამოქალაქო განათლების ფარგლებში სწორედ ძველი სასწავლო წლის კურიკულუმზე დაფუძნებით შეიქმნა ახალი სადაც სწავლის პროცესი მიემართება კომლექსურიდან კომპლექსურისკენ.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლაში სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების ტრადიცია/გამოცდილება ამ ეტაპზე არ არსებობს; მიმდინარე სასწავლო წელს შემოთვაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების ოთხი ინსტრუმენტიდან შერჩეულია მეორე და მესამე ინსტრუმენტები, რის საფუძველზეც შეიქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია..**ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ესთეტიკური აღზრდა კათედრა მონიტორინგის პროცესში შეგროვილი მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მოახდენს პრობლემების, გამოწვევების გამოკვეთას/გამოვლენას, რეკომენდაციების შემუშავებას, რასაც ასახავენ მოდევნო წლის კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფოქუსჯგუფთან მუშაობის დროს მოპოვებული ინფორმაცია.
- თვითშეფასების კითხვარი
- სასწავლო გეგმა
- ცალკეული შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები.

შეფასება:

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

გვ. 343

09.10.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: